ეროვნული თავისუფლების გზით - პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით - ეროვნული თავისუფლებისაკენ!

# საქართველო

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
გამოდიოდა 1903–1905 წ.წ. აღდგენილია 1989 წელს.

№41 (1479) 9–16 სექტემბერი, 1996 წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## გთხოვთ ყველას! ყველას! ყველას!

### სუ! ნუ გააღვიძებთ კიტოვანს



მესამე გვერდი

## საქართველო მოქცეულია ეკონომიკური კრიზისის მარწუხებში

მეორე გვერდი

## მეფე ბორისის მარცხი

მეორე გვერდი

## თენგიზ კიტოვანი: რაც შეეხება ჩემს აგარიას...

მესამე გვერდი

## აგენტომანიის კვირაიასეული რაუნდი

### ანუ უშიშროების მინისტრის ორმაგი თამაში?!

საქართველოში მიმდინარე დემოკრატიზაციის პროცესი რთულად მიმდინარეობს. ერთის მხრივ, პრეზიდენტიცა და ხელისუფლებაც ამტკიცებს დემოკრატიული პროცესის სასიკეთო მიმდინარეობას, მეორეს მხრივ კი, სულ უფრო ხშირად ვლინდება ადამიანის უფლებათა დარღვევის აღმაშფოთებელი ფაქტები. რაც მთავარია, ამ დანაშაულის ორგანიზატორებად შინაგან საქმეთა სამინისტრო, მისივე ქალაქის სამმართველო და უშიშროების სამინისტრო გვევლინება. ეს პარადოქსი შეიძლება აიხსნას იმ მიზეზითაც, რომ დემოკრატიის საფარქვეშ პოლიციური სახელმწიფოს მშენებლობა აქტიურად მიმდინარეობს. ამიტომაც, კანონიერების დაცვის მაგივრად, ეს ძალოვანი სტრუქტურები კანონს საკუთარი შეხედულებისამებრ და საკმაოდ თავისებური ინტერპრეტაციით იყენებენ. ამგვარი თავისუფლების შესახებ საზოგადოებაში არსებობს აზრი, რომ პოლიციამ საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნებში დიდი როლი ითამაშა და ამის საფასურად მადლიერი პრეზიდენტისგან სრული თავისუფლება მიიღო. ეს შეხედულება დამაფიქრებელია, ვინაიდან ოფიციოზის ერთგულ პრესაში პოლიციის ხელმძღვანელობის შესახებ მძაფრ კრიტიკას ვერ შეხვდებით. ვითარებას ისიც ამწვავებს, რომ ბოლო დროს შინაგან საქმეთა სამინისტრომ ხელოვნურად დაძაბა ურთიერთობა პროკურატურასთან, რომელმაც პოლიციელთა უკანონობას ბრძოლა გამოუცხადა. პროკურატურის ეს ნაბიჯი „პოლიციისადმი დაუსაბუთებელი ბრალდებების" წაყენებად იქნა აღქმული, რაც ცალკე საუბრის თემაა და მკითხველს უახლოეს მომავალში შევთავაზებთ.

უნდა აღინიშნოს, რომ ზოგადი სტაბილიზაციის ფონზე სულ უფრო მეტად გაისმის უშიშროების სამინისტროს „ბრძოლა" მომრავლებული აგენტურის წინააღმდეგ. ეს თემა თითქმის წამყვანი გახდა, 19 ივლისს გამართულ მთავრობის გაფართოებულ სხდომაზე. შოთა კვირაიას მოხსენება-



ში. თურმე ნუ იტყვით, საქართველო წაულეკავს უცხო აგენტებს, რომლებიც ყველგან ჩასაფრებულნი არიან ბუჩქებში, ჩირგვებში, ქუჩებში და ძირს უთხრიან დემოკრატიულ საქართველოს. საკითხავია, უშიშროების სამინისტროს ქვეშ გვირაბიც ხომ არ გაჰყავთ ინდოეთამდე, კინოფილმ „მონანიების" არ იყოს.

დაუსაბუთებელ აგენტთა მოძალება არასერიოზულად აღიქმება. მითუმეტეს, როდესაც ამიერკავკასიის რუსეთის ჯარების შტაბში არსებობს დაზვერვის სამმართველო, რომლის არაერთი თანამშრომელი ოფიციალურ დაზვერვასა და აგენტურას აწარმოებს რესპუბლიკაში და მათი თანამშრომლობა მჭიდრო ურთიერთობით ხასიათდება ქართველ კოლეგებთან.

დავუშვათ, საქართველოში მართლაც ბევრი აგენტია. მაშინ უშიშროების სამინისტრო რაღას აკეთებს? მხოლოდ დეკლამაციით კმაყოფილდება? ცხადია, „აგენტთა" ძებნა ასე არ მიმდინარეობს. უშიშროებამ, წესით, უნდა იცოდეს და ამოწმებდეს კიდეც ჩამოსულ საეჭვო პირებს. მაშინ საქმე ამდენი აღიაქოთის გარეშე გაკეთდება.

ბატონმა შოთამ უნდა გაითვალისწინოს უახლოეს წარსულში ზ.გამსახურდიას მიერ შექმნილი „აგენტომანიის" სავალალო შედეგები, რაც თავად პრეზიდენტს ცუდად შემოუბრუნდა. თუკი ბატონი მინისტრიც მსგავს თავდაჯერებას გამოიჩენს, ვინ იცის ეს ტრაგიკომედია როგორ დასრულდება.

გაგრძელება მე-5-გვ

## რატომ არა გვყავს ერთიანი საქართველოს სამეფო ტახტის ლეგიტიმური მემკვიდრე?!

ჩემს მეზობელსა და მეგობარს, ბატონ ლერი სიხარულიძეს ბევრი აქვს ნაკითხი და ნაფიქრი სახელმწიფოებრიობის იმ ფორმაზე, რომლის შეთავაზება დღეს საქართველოსთვის, ერთის შეხედვით, პარადოქსალური ჩანს, მაგრამ ამავე დროს სავსებით ლოგიკურია. ლაპარაკი გახლავთ მონარქიაზე. ნებისმიერი მიდგომის შემთხვევაში, ამ თემაზე მსჯელობისას არსებითი დარჩება დინასტიური და პიროვნული ფაქტორი, რადგან პიროვნება ის ცენტრია, რომლის გარშემო ბუნებრივად ტრიალებს (და მომავალშიც, ალბათ, მუდამ იტრიალებს) ადამიანთა ყველა პრობლემა, პოლიტიკურის ჩათვლით. ბატონ ლერის ვთხოვე, „საქართველოს" მკითხველისთვის გაეზიარებინა თავისი მდიდარი ინფორმაცია და თავისი მოსაზრებები ჩვენი უძველესი სამეფო გვარის ისტორიისა და მასში დღეს არსებული ვითარების შესახებ და მადლობელი ვარ, რომ იგი ამ თხოვნას ასრულებს.

ნ.ნათაძე

„საჯაროობისა" და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის „გალაღების" ეიფორიაში, ქართველმა მონარქისტებმაც და მათი „თავგამოდებით" ქართულმა საზოგადოებამაც, თითქმის ხელაღებით ვირწმუნეთ, რომ 1942 წელს კავკასიის ფრონტზე ჰიტლერული დივიზიების წარმატებით გულმოცემული ქართველი პატრიოტი ემიგრანტების პატარა ჯგუფის მიერ ბერლინის საიდუმლო შეკრებაზე საქართველოს სამეფო ტახტის ერთპიროვნულ მემკვიდრედ არჩეული ირაკლი ბაგრატიონი (მჭადიჯვარელ მუხრანბატონთაგან) - ნამდვილად ლეგიტიმური მემკვიდრე იყო და, შესაბამისად, ვიწამეთ ისიც, რომ მისი უფროსი ვაჟი, ესპანეთის მრავალგზის ჩემპიონი ავტორბოლებში გიორგი (ხორხე) ბაგრატიონი ასევე ლეგიტიმურად ფლობდა სრულიად ქართველთა უფლისწულობის ერთადერთ „სახელოს"!.. თანაც „ეიფორიას" ძირს უმაგრებდა ემიგრაციაში რუსეთის საიმპერატორო ტახტის მემკვიდრის, დიდი მთავრის, ვლადიმერ კირილოვიჩის 1946 წლის ოფიციალური აქტი, რომლის „ძალითაც" რუსეთის საიმპერატორო სახლმა აღიარა 1801 წლის ანექსიის უზურპატორული არსი, სცნო ბაგრატიონთა დინასტიის უფლებები საქართველოს ტახტზე და, აგრეთვე, ბაგრატიონთა სამეფო სახლის მეთაურად სცნო გიორგი ბაგრატიონი („მუხრანბატონ - მჭადიჯვარელი"), ირაკლის მამა. თანაც თავისივე აქტზე დაყრდნობით, ვლადიმირ კირილოვიჩმა თანამეცხედრედ ანუ „ემიგრაციაში რუსეთის იმპერიის" დედოფლად 1948 წელს „დაისვა" ირაკლი ბაგრატიონის და, ბატონიშვილი ლეონიდა ბაგრატიონი, რომელსაც მანამდე არც იცნობდა (ამ თემაზე ყოველივე უფრო დაწვრილებით არაერთხელ გამოაქვეყნა ქ-ნმა. მანანა ხომერიკმა და ამ ბოლო დროს ახალგაზრდა ისტორიკოსმა სოსო ბიჭიკაშვილმა გაზეთ „კავკასიონში").

რა თქმა უნდა, II მსოფლიო ომის დროს „დიდებული გერმანიის" „აბვერმაც". და თვით ქართველმა ემიგრანტებმაც კარგად უწყოდენ, რომ გიორგი მუხრანბატონ-მჭადიჯვარელი არანაირი ლეგიტიმური მემკვიდრე არ იყო ერთიანი საქართველოს ბაგრატიონული ტახტისა, მაგრამ ისიც ცხადზე უცხადესი იყო, რომ - რომც მოძებნილიყო ტახტის ჭეშმარიტი მემკვიდრე საკუთრივ საქართველოში, ბერიას საიდუმლო სამსახური მას და მის მონაგართ ერთ ღამეში გააქრობდა (პირადად ჩემთვის „გამოცანაა", დღემდე რატომ „არაეინ ახლო ხელი" ევროპელ ბაგრატიონებს?!).

მიუხედავად იმისა, რომ დიდი მთავრის, ვლადიმირ კირილოვიჩის აქტის წყალობით ევროპის მონარქისტულ წრეებში მტკიცედ დამკვიდრდა ბაგრატიონთა დინასტიის ავტორიტეტი და გიორგი (ხორხე) ბაგრატიონის „იმიჯი", ქართული საზოგადოების უდიდესი ნაწილისთვის და თვით ბაგრატიონთა საგვარეულოსთვის დღეს უკვე ცხადია, რომ, სამწუხაროდ (!), ქართული მონარქიული ტრადიციების ბოლო ხუთასწლიანი ისტორიული ბედ-იღბალის გაუკუღმართების გამო ერთიანი საქართველოს ტახტის ლეგიტიმური (კანონიერი) მემკვიდრე არამცთუ დღეს არა გვყავს (200 წლიანი წყვეტის შემდეგ), ასეთი მემკვიდრე არ გვყავდა არც 1801 წელს!.

ამიტომ: ვინაიდან სამეფო ტახტის მემკვიდრეობის ტრადიციული კანონებისადმი უმკაცრესი ერთგულება, მათი უმკაცრესი დაცვა, ყოველთვის იყო (და არის!) საფუძველი და მოტივი საერთო სახელმწიფოებრივი წესრიგისა და მისი სტაბილური შენარჩუნებისა...

...გამომდინარე ახალი ქართული

გაგრძელება 4-გვ

# საქართველო მოქცეულია ეკონომიკური კრიზისის მარწუხებში

საქართველოში ეკონომიკური განვითარების პროცესებზე და ეკონომიკური რეფორმების მიმდინარეობაზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ საზღვარგარეთის ქვეყნებთან გარკვეული დახმარების მიღების მიუხედავად, ვერ მოხერხდა ეკონომიკის სფეროში რუსეთის სპეცსამსახურის ხელშეწყობით ქართველი მაფიოზური ჯგუფების მიერ წარმოქმნილი უკიდურესად ნეგატიური ტენდენციების შეჩერება, რის გამოც ღრმა კრიზისის მორევში მოექცა საქართველოს ეკონომიკისა და სოციალური სფეროს ყველა დარგი.

საქართველოს სსრ კავშირის ერთიან სახალხო-სამეურნეო კომპლექსში არსებობამ და დაქვემდებარებულმა ეკონომიკურმა ურთიერთობამ, აგრეთვე დაუცველობამ გარეეკონომიკური და პოლიტიკური ზეგავლენისაგან, გამოიწვია:

- საქართველოს ეკონომიკის ავტონომიური ფუნქციონირების შესაძლებლობათა განვითარების შეფერხება;
- ქვეყნის საექსპორტო შესაძლებლობათა რეალიზაციის არენდის შეზღუდვა;
- სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის არატრადიციული დარგების ფართო განვითარება;
- ქვეყნის სამეურნეო ბრუნვაში ეკონომიკური პოტენციალის მნიშვნელოვანი ნაწილის გამოუყენებლობა. ზემოთ დასახელებულმა მიზეზებმა განაპირობა ქვეყნის განვითარების დღევანდელი სოციალურ-ეკონომიკური შედეგები, რომლებიც ჩვენს თვალწინ, ჩვენივე მონაწილეობით ღრმავდება და ყოველდღიურად კიდევ უფრო ითრევს ეროვნულ ეკონომიკას კრიზისის მორევში.

1994 წელს 1988 წლის მიმართ ეროვნული შემოსავლის წარმოებამ შეადგინა 16,9 პროცენტი, სამრეწველო პროდუქციის წარმოებამ - 16 პროცენტი, სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებამ - 23 პროცენტი. ეს დონეები მიღწეული იყო შესაბამისად, 1960, 1958 და 1945 წლებში. კატასტროფულად დაეცა მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის რიგ დარგებში წარმოების მოცულობა. მაგალითად, ელექტროენერგიის წარმოებამ 1994 წელს 1988 წლის მიმართ შეადგინა 46,6 პროცენტი, ქვანახშირის წარმოებამ - 1.8 პროცენტი, ხორცის - 0,2 პროცენტი, ჩაის - 5,1 პროცენტი, ღვინის - 22,5 პროცენტი, კონიაკის - 9,4 პროცენტი, ბამბის ქსოვილების - 2,5 პროცენტი, ხალიჩების - 2,4 პროცენტი, წინდების - 3,0 პროცენტი, ფეხსაცმლის - 1,2 პროცენტი. ამგვარი წარმოების შემცირების ტენდენცია გაგრძელდა 1995 წელსაც. ყველაზე უფრო შემაშფოთებელია ის, რომ ქვეყნის ერთ-ერთი მთავარი საცვლელ-საექსპორტო პროდუქციის - ჩაის წარმოების არნახული დაბალი დონეა დაფიქსირებული. მარტო ზუგდიდის რაიონში 1995 წელს ჩამოიწერა უპერსპექტივო და გავერანებული ჩაის პლანტაციის 958 ჰექტარი, ხოლო 1996 წელს დამატებით 1270 ჰექტარი.

1996 წლის პირველ ნახევარში თუ ზოგ ქალაქში და რაიონში კვებისა და მსუბუქი მრეწველობის წარმოებაში გარკვეული დადებითი ძვრები შეიმჩნევა, მრეწველობის სხვა დარგების საწარმოთა უმეტესობა კი თავისი მაჩვენებლით 1994 წლის დონისგან თითქმის არ განსხვავდება. კლანური დაჯგუფებები (სოჭის თესლის, ნავთობის, გამაგრილებელი წყლების, ხორბლის, თამბაქოს), რომელთა მფარველები სახელმწიფო სტრუქტურებში არიან მოკალათებულნი, ყოველნაირად ცდილობენ, თავის სასარგებლოდ, მოახდინონ ფასების რეგულირება, რაც ხელს უშლის ჯანსაღი კონკურენციული გარემოს შექმნას, კერძო მეწარმეობისათვის ფართო ასპარეზის გახსნას, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას, რის გამოც ახლად შექმნილი საწარმოები და ფირმები ვერ ახერხებენ ფუნქციონირებას და პროდუქციის გამოშვებას. ასეთი გარემოს არსებობა მკვეთრად აუარესებს და ამძიმებს მდგომარეობას სოციალურ სფეროში. პირველ რიგში იგი ეხება დასაქმებას და მოსახლეობის შემოსავლებს, რომელიც სიმბოლურ ხასიათს ატარებს. 1996 წლის იანვარ-თებერვლის მდგომარეობით, შრომისუნარიანი მამაკაცის მინიმალური სამომხმარებლო კალათის ღირებულებამ 160 ლარი შეადგინა. იგი მოიცავს კვების პროდუქტების, ბინის ქირის, კომუნალური გადასახადის და სატრანსპორტო მომსახურების ხარჯებს. სიღატაკის ზღვარი კი შეადგენს 82 ლარს, ეს მაშინ, როდესაც ერთი ადამიანის საშუალო შემოსავალი 15 ლარია. პენსიამ და სტიპენდიამ კი, ფაქტობრივად, ფუნქცია დაკარგა.

გაუარესდა დემოგრაფიული მდგომარეობა, საგრძნობლად შემცირდა ქორწინება, გაიზარდა სხვადასხვა დაავადებების მაჩვენებლი, მკვეთრად გაუარესდა ცხოვრების დონე. მოსახლეობას მძიმედ დააწვა საბანკო სისტემაში შეტანილი დანაზოგების გაუფასურება. 1994 წელს 1990 წელთან შედარებით მოსახლეობის ერთ სულზე შემცირდა ხორცის მოხმარება თითქმის 4-ჯერ, რძისა და რძის პროდუქტების - 3-4-ჯერ, თევზეულისა - 20,3-ჯერ, კვერცხისა - 2,2-ჯერ, ბოსტნეულ-ბაღჩეულისა - 1,5-ჯერ. დაახლოებით მსგავსი ტენდენცია გრძელდება 1995-96 წლებშიც, რაც უმეტესწილად გამოწვეულია საკვები პროდუქტების ფასებისა და შემოსავლებს შორის არსებული დიდი სხვაობით.

საგრძნობლად გაუარესდა ქალაქებში და სოფლებში მშენებლობის პროცესი და ფაქტიურად, შეწყვეტილია. მინიმალური ოდენობის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები ძირითადად მოდის კერძო საცხოვრებელი ბინების, სავაჭრო და საყოფაცხოვრებო ობიექტების მშენებლობაზე, ძველ ნაგებობათა გადაკეთება-რეკონსტრუქციაზე, ოფისების მოწყობაზე.

მძიმედ მიმდინარეობს ქვეყნის ერთიანი ეროვნული ბაზის და მისი ტერიტორიული სეგმენტების - რეგიონული ბაზრების ფორმირების პროცესი. სამომხმარებლო ბაზარი არსებითად არ ფართოვდება სასაქონლო დეფიციტისა და მოსახლეობის დაბალი ყიდვითუნარიანობის გამო. ბევრ სამომხმარებლო საქონელზე ფასები იზრდება, რაც ლარის ინფლაციის საწინდარია.

უმძიმეს ფინანსურ მდგომარეობაშია მეცნიერების, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებები, პედაგოგები და მეცნიერები თავს ძლივს ირჩენენ. სიღატაკის გამო მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ვერ სარგებლობს ფასიანი სამედიცინო მომსახურებით და მედიკამენტებით. მიმდინარეობს საუკეთესო ინტელექტუალური პოტენციალის მქონე ახალგაზრდების ემიგრა-

გაგრძელება მე-4 გვ.

# მეფე ბორისის მარცხი



**ელცინმა ჩეჩნეთი გენერალ ლებედს გადააბარა. ამით მას სურს თავიდან აიცილოს პასუხისმგებლობა. მაგრამ თავად სნეული, შესძლებს კი მართოს დაუძლურებული ქვეყანა?**

გროზნო კიდევ ერთხელ გაეხვია ხანძრის ალში. ეს უკვე რიგით მესამე შეტევაა. შორეულ აღმოსავლეთში გაფიცული მეშახტეები ხელფასს ითხოვენ. არად და, სწორედ ამ რეგიონმა ითამაშა გადამწყვეტი როლი ელცინის გამარჯვებაში. საგაფიცვო მოძრაობა სხვა მხარეებსაც გადაწვდა და როსტოვამდეც მიაღწია. ოპოზიციისა და თვით ლებედის მიერ წინასწარმეტყველურად განჭვრეტილი „ცხელი შემოდგომა" დროზე ადრე დაიწყო.

ამასთან ერთად, პრეზიდენტის ინაგურაციამ, რომელიც უზარმაზარი საზეიმო შოუ უნდა ყოფილიყო, უფერულად ჩაიარა. დღესასწაული მინიმუმამდე იქნა დაყვანილი. იგი მხოლოდ 18 წუთს გაგრძელდა და ელცინმა ისიც კი ვერ მოახერხა, რომ ტრადიციული სიტყვით მიემართა რუსი ხალხისთვის. ცერემონიალი მოედნიდან ყრილობათა სასახლეში გადაიტანეს. ჰოდა, რუსებსაც მეტი რა უნდოდათ. წამსვე ალაპარაკდნენ, პრეზიდენტს თავისი მოვალეობის აღსრულება აღარ შეუძლიაო. ამ აზრს მთელი მსოფლიო იზიარებს. მაგრამ ვერავის აუხსნია, თუ რა მოსდის ამ 65 წლის გიგანტს. რამ დაასუსტა, რა სენმა დარია ხელი? პრეზიდენტის ავადმყოფობა ტაბუდადებული თემაა პრესისთვის. ასე იყო საბჭოური რეჟიმის დროსაც. მაგრამ რაც შეეხება ომს, აქ უკვე შუბი ხალთაში ვერ დაიმალება. ამიტომაც, ინაგურაციის მეორე დღესვე რუსეთში ეროვნული გლოვა გამოცხადდა. რამდენიმე დღით ადრე რუსეთის არმიამ საშინელი მარცხი იწვნია გროზნოში...

გროზნოზე შეტევისას, 1994 წლის 30 დეკემბრის ღამეს, რუსეთის ჯარმა 1000 მეტი კაცი დაკარგა. ბორის გრომოვმა განაცხადა, რომ მსგავსი მარცხი რუსეთის ჯარს ავღანეთის ბრძოლის მთელ მანძილზე არ განუცდია. ამჯერადაც ჩეჩენმა „ბოევიკებმა" ძალიან ადვილად შესძლეს დაპატრონებოდნენ საკუთარ დედაქალაქს. ისინი მარიონეტული მთავრობის რეზიდენციასაც კი შემოერტყნენ ალყად. დოკუ ზავგაევი საკუთარ გადარჩენას ბედნიერ შემთხვევას უნდა უმადლოდეს. იგი იმ დღეებში მოსკოვში იყო. მართლაც გასაოცარი მოვლენაა! ავღანელი მუჯაჰიდები (მებრძოლები), ამერიკის მიერ გაცილებით უფრო კარგად შეიარაღებულნი, ვერც ერთხელ ვერ შევიდნენ ქაბულში. ჯოხარ დუდაევმა ყოვლისშემძლე არმია შექმნა, რომელიც ერთნაირი წარმატებით იბრძვის მთაშიც და ბარშიც. მაგრამ დუდაევი ზეკაცი არ იყო. რუსებმა, ამერიკელების დახმარებით, მოახ-

დასასრული მე-8 გვ.

# «კანონი მკაცრია, მაგრამ კანონია»

**დღევანდელი მწარე სინამდვილე - მაწანწალა, ქალაქს ალოდებული ბავშვები, მოზარდები, რომელნიც ჯერ კიდევ ძალზედ უსუსურები ლუკმა-პურის საშოვნელად გამოსულან ქუჩებში და მაწანწალობით ირჩენენ თავს, ზოგნი „კეთილი ზედამხედველების" ქვეშევრდომებად იწყებენ მუშაობას, ზოგნი ქუჩურ ცხოვრებას მიჩვეულნი, მათზე გამოცდილი „პედაგოგების" დავალებით ჩადიან სხვადასხვა დანაშაულებებს და ასე დაუსრულებლივ...**

**ამგვარმა რთულმა მდგომარეობამ განაპირობა კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტში არსებული სისხლის სამართლის სამძებროს მთავარი სამმართველოს სტრუქტურაში არასრულწლოვან და სტუდენტ-ახალგაზრდობას შორის დამნაშავეობის წინააღმდეგ მებრძოლი სამმართველოს შექმნა.**

**გვესაუბრება სამმართველოს უფროსის მოადგილე, პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკი ანზორ შიოშვილი.**

**- ბ-ნო ანზორ, როგორია სტატისტიკური მონაცემები გასულ წელთან შედარებით და იკლო თუ არა არასრულწლოვანთა და სტუდენტ-ახალგაზრდობას შორის დანაშაულებრივმა ქმედებებმა?**

- რესპუბლიკაში არსებულმა ვითარებამ, ცნობილმა მოვლენებმა, გარკვეულწილად განაპ...ება ამ კონტიგენტში დანაშაულის ზრდა და ამჟამად არა გვაქვს სახარბიელო მდგომარეობა. უნდა აღინიშნოს, რომ გასულ წელთან შედარებით დანაშაულმა იმატა (ხშირია ქურდობები არასრულწლოვანთა მხრიდან), მაგრამ მძიმე დანაშაულებების რიცხვმა საგრძნობლად იკლო, რაც არ გვაძლევს დამშვიდების საშუალებას.

**- უფრო ხშირად რა ასაკის ბავშვები არიან არასრულწლოვანთა შორის და რა გარემოებით ჩადიან დანაშაულს?**

- დანაშაულს სხვადასხვა ასაკის მოზარდები ჩადიან, ხშირია ქურდობები, რაც ოჯახის ხელმოკლეობითაა გამოწვეული, მაგრამ არის ისეთი ფაქტებიც, როცა ბავშვი შეძლებული ოჯახიდანაა და რატომღაც, მაინც ჩადის დანაშაულს. ეს უკანასკნელი, ჩემის აზრით, უპასუხისმგებლობის ბრალია მშობლების მხრიდან, რაც განაპირობებს მოზარდების ქუჩაში, იმ წრეში მოხვედრას, რომელნიც ჩადიან სამართალდარღვევებს და ბუნებრივია, ეს ერთგვარი ბიძგია არასრულწლოვანთათვის ანალოგიური ქმედებებისაკენ.

**- როგორ ხორციელდება 1996 წლის 1 ივლისს მიღებული არასრულწლოვანთა შორის დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სახელმწიფო პროგრამა, და რას იტყოდით ატესტაციის შესახებ?**

- რა თქმა უნდა, ეს არის ჩვენი სამოქმედო გეგმა, და პირველ რიგში, განუხრელად ვასრულებთ ამ პროგრამის მოთხოვნებს, რომლის ერთ-ერთი პუნქტი ითვალისწინებდა იმ დანაყოფების თანამშრომელთა ატესტაციას, რომელნიც ემსახურებიან დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლას.

წლების განმავლობაში ამ სამსახურში რატომღაც მოდიოდნენ ისეთი თანამშრომლები, რომლებმაც სხვა სამსახურში თავი ვერ გამოიჩინეს და ბევრი მათგანი დათხოვილია შ.ს. ორგანოებიდან, ბევრ მათგანს კი მიეცა წინადადება სხვა სამსახურში გადასვლის თაობაზე.

ჩვენ შევქმენით შრომისუნარიან დანაყოფებს, რომლებიც შეძლებენ იმ ამოცანების პირნათლად შესრულებას, რომელიც დაგვისახა ამ პროგრამამ, და ეს ყოველივე ჩვენს ქვეყანას და საერთო საქმეს წაადგება.

**- რა შედეგი მოჰყვა პროფილაქტიკური მუშაობის ჩატარებას რეიდის სახით?**

- რამდენიმე დღის წინ ჩავატარეთ რეიდი დიდუბის რ-ნის თანამშრომლებთან ერთად. მოგეხსენებათ, ბაზრის მიმდებარე ტერიტორია მსუყე ნიადაგია მათხოვრობისათვის, ქურდობებისათვის და ა.შ. რეიდის შედეგად გამოვავლინეთ 19 მოზარდი, რომელთა შორის, ჩვენდა სამწუხაროდ, 4 მოზარდი ეწეოდა ტოქსიკომანიას, რაც, მოგეხსენებათ, ერთი ნაბიჯია ნარკომანიისაკენ.

სამწუხაროდ, ამ ბოლო დროს ჩვენში ძალზედ იმძლავრა მოზარდთა შორის ამგვარმა მოვლენებმა, რაც ადრეულ წლებში არ შეიმჩნეოდა.

მთაწმინდის რაიონში შემჩნეული გვაქვს ე.წ. გარყვნილობის ბუდე, სადაც წამქეზებლების სახით სრულწლოვანნი ითრევენ არასრულწლოვანებს ამგვარ საქმიანობაში. ამ მიმართულებით ჩვენ გავააქტიურეთ მუშაობა, რათა აღმოიფხვრას ეს მავნე ტენდენცია, მაგრამ მე შორს ვარ იმ აზრისაგან, რომ მარტო ჩვენი საქმიანობით, განათლების სამინისტროს და სხვა დაინტერესებული უწყებების გარეშე, ყველაფერს შევძლებთ, რათა მოისპოს ამგვარი დანაშაულებრივი ქმედებები არასრულწლოვანთა და ახალგაზრდობათა შორის.

**- დღესდღეობით როგორი მდგომარეობაა ზემო ავჭალის არასრულწლოვანთა კოლონიაში და მიგაჩნიათ თუ არა, რომ იქაური ატმოსფერო სათანადო ზეგავლენას იქონიებს არასრულწლოვანთა ზნეობრივ აღზრდაზე თუ პირიქით?**

- თავის დროზე (70-იან, 80-იან წლებში) კოლონიის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა ძლიერი გახლდათ, ფუნქციონირებდა საშუალო სკოლა, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი და ჰქონდათ თავიანთი საწარმო, სადაც სხვადასხვა სახის პროდუქციას უშვებდნენ, ე.ი. არასრულწლოვანნი შრომით იყვნენ დასაქმებულნი, და გარკვეულწილად იძლეოდა შედეგს - ბევრი არასრულწლოვანი დაადგა სწორ გზას.

ამჟამად მიმდინარეობს შენობის კაპიტალური შეკეთება და ფაქტიურად შეჩერებულია კოლონიის ფუნქციონირება. იმედია, სათანადო ორგანოები ყურად იღებენ მათ გასაჭირს, ისეთი პირობები შეუქმნათ ბავშვებს, რომ ამჟამად მიეცეთ მათ საშუალო განათლების მიღების და სპეციალობის შეძენის საშუალება.

და კიდევ, ბავშვებთან მუშაობა ძალზედ ძნელია, თუ არ გვეყოლება სათანადო კონტიგენტი სპეციალისტებისა, პედაგოგებისა, რომლებიც გულთან მიიტანენ ამგვარი მოზარდების გასაჭირს და თავიანთ კვალს დააჩენენ მათ სულიერ ცხოვრებას. და ბუნებრივია, ჩვენ მჭიდრო კავშირი გვექნება მათთან და სხვანაირად არ შეიძლება იყოს.

**- კოლონიის დღევანდელი თქვენეული მოდელი?**

- არის მოსაზრება, ცალკე კომპლექსის სახით, ისეთი დაწესებულების შექმნა, რასაც არანაირი კავშირი არ ექნება სრულწლოვან დამნაშავეობასთან. კოლონიის ტერიტორიაზე უნდა აშენდეს საავადმყოფო, საგამოძიებო იზოლატორი, რათა ბავშვი არ მოხვდეს სრულწლოვან დამნაშავეთა სამყაროს წარმომადგენლის ზეგავლენის ქვეშ. ამით თავიდან ავიცილებთ „ქურდული ტრადიციების" ზიარებას ბავშვებში, რისი აღმოფხვრაც ძალზედ რთულია.

თუ ამ მოდელს აირჩევენ, ეს ჩემი სუბიექტური აზრია, საქმე მოგებული დარჩება.

**- რა ადგილი უკავია თქვენ საქმიანობაში ემოციებს?**

- ემოციები ჩვენს საქმიანობაში, თვითონ ჩვენი სამსახურის სპეციფიკიდან გამომდინარე, არის, მაგრამ ჩვენი ვალია ამ ემოციების მოთოკვა და პირნათელი სამსახური კანონისა და საზოგადოების წინაშე. როგორც რომაელები იტყვიან: „კანონი მკაცრია, მაგრამ კანონია".

თუ ჩვენ დემოკრატიულ სახელმწიფოს ვაშენებთ, პირველ რიგში, მიმაჩნია, რომ ეს არის კანონისადმი პატივისცემა და მისი განუხრელი შესრულება, სხვანაირი დემოკრატია არ მესმის.

ესაუბრა
ია ბუკოვსკაია

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უდანაშაულო მამა, უდანაშაულო შვილი!

## პასუხად თენგიზ კიტოვანს

წერილი მეშვიდე

დასასრული. დასაწ. იხ. „საქართველო" №35,36,37,38,39,40

# ჩუმად! ნუ გაალვიძებთ კიტოვანს!



შენ, ჩემ თავმკვდარო ბატია! შენ – ჩემ თავმკვდარო ბატია! როგორც იქნა მივაღწიეთ ფინალს. მკითხველებს წინასწარ მინდა განვუმარტო, რომ თავს არ მოვაბეზრებ ბოლო საბრალდებო დასკვნის (შენთვის იყოს ბოლო, თუ კარგიაო - ეგრევე თვალებს მიბრიალებს ბატია მორიგი სასამართლო პროცესიდან!) ჩამოჭიკჭიკებით. მიუხედავად ბევრი მცდელობისა, დაემტკიცებინა თავისი სიმართლე, შევარდნაძის პროვოკაციებმა თავისი გაიტანეს და ბატიას 15 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდეს - მკაცრი რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში მოხდით. შემდგომ ეს განაჩენი გადაისინჯა და იგი 12 წლიანი პატიმრობითა და ჩვეულებრივი რეჟიმის კოლონიით შეიცვალა. რა თქმა უნდა, ისევ შევარდნაძის პროვოკაციებით - დაკლებული წლები კოლონიაში „აინაზღაურა" ბატიამ.

ციხიდან გამოსვლის შემდგომაც ბევრი რამ იყო. ახლა იმ ბევრ რამეზე ყურადღებას არ გავამახვილებ - ხომ გითხარით და ახლაც გიმეორებთ - მე და ბატია თანამებრძოლები ვართ-მეთქი, ამიტომაც გვაცადეთ, ბატონო!

„ვინც კაცურ კოდექსს არღვევს, ყველამ უნდა მიიღოს!"

ეს ჩემი სიტყვები არ გეგონოთ, ბატიამ ბრძანა, თავად ბატიამ!

ბრძანა და... დამემუქრა - „კაცური კოდექსით" გავირჩევ საქმესო. იზამს, აბა რა, და სწორიც იქნება!

მოდი, ბატია ახლა მე და შენ ორივემ, „კაცური კოდექსით" გავარჩიოთ ჯერ შენი საქციელები!

1. შენმა მამიკომ - კალისტრატემ დაიტრაბახა: 1942 წელს ჯარში გამიწვიეს, მაგრამ იმდენი მოვახერხე, თბილისში დავრჩი და ბევრი ფრონტიდან გამოქცეული ქართველი გადავარჩინეო! ბატია! შენ, ჩემ თავმკვდარო ბატია! გადაშალე ახლა „კაცური კოდექსის" შესაბამისი მუხლი და ჩაიხედე კარგად; ხომ არ გეჩვენება, რომ კაცს, ისე უნდა გილხინდეს, როგორც შენს ქვეყანას და ვერაფერი ვაჟკაცობაა ფრონტიდან თავის დაძვრენა? ხომ არ გიფიქრია ბატია იმაზეც, რომ არც ისაა დიდი კაცობა, დეზერტირებს დაფარო ხელი და მითუმეტეს შემდგომ იტრაბახო ამით?

ვიცი, ბატია, ვიცი, რომ მიცვალებული საფლავში უნდა დააყენო თავისი ცოდვამადლით, მაგრამ შენ რომ არ მოგეტანა იგი თავის დასაცავ არგუმენტად, არც მე გავიხსენებდი. რაც კალისტრატეს გაუკეთებია შემდგომ, ჩემზე უკეთ მოგეხსენება, მაგრამ მე ხომ პატიოსნად ვდუმვარ?

2. რამდენად ეთანხმება ბატია „კაცურ კოდექსს" თავის მოგიჟიანება - იქნება ჯარიდან გამათავისუფლონო - თუნდაც სხრკ არმიიდან?

3. ვისაც გინდა ურტყი ბატია, მაგრამ რამდენად ეთანხმება „კაცურ კოდექსს" მეზობელი ქალების ცემა-ტყეპა - რაო, როგორ წერია იმ კოდექსში? დავიჯერო, ციხეში, თუნდაც კოლონიაში, მოგიწონებენ ამ საქციელს?

4. 1963 წლის 5 თებერვალს, ბატია თავისი „ვოლგით" დაეჯახა სპორტის ოსტატ გაგვას და გაიქცა. დადევნებული მილიციისაგან თავის დასაღწევად მტკვარში ისკუპა, მაგრამ ბოლომდე ვერ გაცურა, უკან გამობრუნდა და დააპატიმრეს.

ბატია! „კაცური კოდექსით" - რამდენადაა გამართლებული ამ შემთხვევაში - მართლაც რომ კურდღლისავით მოკურცხვლა? „კაცური კოდექსიდან" გამომდინარე, იქნებ ჯობდა ჩაგესვა მანქანაში შენგანვე დაშავებული კაცი, მიგეყვანა საავადმყოფოში, გეპატრონა?

კარგი, გაიქეცი - ვთქვათ, „კაცური კოდექსის" შენი ეგზემპლარი განსხვავდება ჩემი ვარიანტისაგან, მაგრამ შე მამაცხონებულო, წყლიდან გაწუწულ ბაჭიასავით (არ შემშლია - ბატიასავით კი არა, ბაჭიასავით! თ.კ.) ყურით ამოყვანილი რომ გაიძახი, საჭესთან მე არ ვმჯდარვარ, ვიღაც სოსომ თავში ჩამარტყა, უკან გადამაგდო, დაეჯახა გაგვასო და ა.შ. ცოტა ხომ უნდა დაფიქრდე, როგორ მოგიწონებენ საქციელს - „კაცური კოდექსიდან" გამომდინარე? ასეთ ღია ბლეფზე წასვლას რა ჰქვია ბატია?

5. თუ „კაცური კოდექსით" ცხოვრობ, რა იყო, შენ, ჩემ თავმკვდარო, რა ასეთი ლენინის „კეთება" აგიტყდა, 800 ცალი რომ დაამზადე, ფულის გულისათვის ყველაფერი ხომ არ უნდა იკადრო, შენ, ჩემ თავმკვდარო ბატია, ა?

როგორ მოგიწონებენ ამ - თუნდაც „უწყინარ" დანაშაულს ის ადამიანები, ვისთან ერთადაც ხვალ-ზეგ მოგიწევს ურთიერთობა?

6. 1969 წლის 15 ნოემბერს ბატია თავისი „ვოლგით" თბილისი-რუსთავის გზატკეცილზე დაეჯახა ორ ახალგაზრდას, მანქანა არც კი გააჩერა, ისე გააგრძელა მოძრაობა და შეეცადა მიმალვას.

აქაც იგივე ხდება, რაც წინა შემთხვევებში: სად გარბიხარ, შე ჩემი ცოდვით სავსე ბატია, გააჩერე ეს დასაწვავი მანქანა, იქნებ ჯერ კიდევ შეიძლება იმ უბედურების გადარჩენა, სტაცე ხელი, ჩასვი მანქანაში, მიიყვანე საავადმყოფოში, ჭირისუფლად დაუდექი, რა იცი, იქნებ გადარჩნენ? ეს წერია კაცობის შენს კოდექსში, თუ ვინმეს შემთხვევით დაეჯახე, ადექი და მოკურცხლე, მიატოვე დასახიჩრებული ადამიანებიო?

7. შემდგომ - როგორც მკითხველებმაც იციან - ბატიამ ჯერ განაცხადა, რომ მანქანა მოპარეს და თბილისი-რუსთავის გზატკეცილზე, ღამის 11 საათზე ფეხით იყო გამოსული სამებრად... თავში ჩარჭობილი შუშის ნამსხვრევები რომ ამოუღეს და ექსპერტიზით დადასტურდა მათი იდენტურობა „ვოლგის" საქარე მინის ნამტვრევებთან, ადგა და საკუთარ ნათესავსა და მეგობარს ძაგნიძეს დააბრალა იგი იჯდა საჭესთანაო?!

შენ, ჩემ თავმკვდარო ბატია, ბევრი შემთხვევა გამიგია, ვინმეს რომ სხვისი ჩადენილი დანაშაული ნებაყოფლობით აეღოს საკუთარ თავზე - თანაც უანგაროდ - და ეს, სწორედ „კაცური კოდექსიდან" გამომდინარე, თვით „მოტყუებულ" ან ვერმოტყუებულ გამოძიებასაც მართლაც კაცობად ჩაუთვლია, მაგრამ რომელ „კაცურ კოდექსში" ჯდება საკუთარი დანაშაულის სხვისთვის - ისიც საკუთარი მეგობრისა და ნათესავისათვის „შეტენვა"?

მით უმეტეს, როცა ამ კაცს ერთი მკვლელობა ისედაცაა აქვს ჩადენილი, შენ კი კიდევ უფრო უმძიმებ მდგომარეობას?

რომელ „კაცურ კოდექსში" ჯდება შენი მამიკო კალისტრატეს საქციელი, რომელიც ატყუებდა ძაგნიძეს - ერთი მკვლელობისათვის ძებნილს - ეს ორი გვამიც შენზე აიღე, მერე მე და თენგიზი ერთად დაგეხმარებით, დავტრიალდებით და გამოგიყვანთო! ეს ხომ აშკარა ტყუილი იყო, ვინაიდან მიუხედავად დიდი ფულისა, ჩალიჩისა და ბევრი მაქინაციისა, შენი გამოყვანაც კი ვერ მოახერხა. რამდენად ეთანხმება ყოველივე ზემოთქმული შენეულ „კაცურ კოდექსს" ჩემო ბატია და როგორ ფიქრობ, სანამ მე და შენ ერთად გავარჩევდეთ ამ საქმეს, კოლონიაში ან კამერაში, მანამდე სხვები რომ დაუფიქრდებიან შენს საქციელებს, როგორ დასკვნას გამოიტანენ ისინი?

რამდენადაც გახსოვთ, შემდგომ ბატია მეორე ვერსიას - „მიაწვა" - ჩემი მანქანის საჭესთან აწ გარდაცვლილი თოხლე ქურდაძე იჯდაო.

რამდენად სწორია „კაცური კოდექსიდან" გამომდინარე, შენს მიერ ჩადენილი დანაშაული სრულიად უცხო პირს, გარდაცვლილს დააბრალო - აქაოდა იგი თავს ვერ იმართლებსო. რა, „კაცური კოდექსი" ასეთ საქციელს ამართლებს?

8. „სულ მილიცია და შევარდნაძის პროვოკაციები იყო, რასაც მას აბრალებდნენ. მე საჩივარი არ შემიტანია"...

ეს სიტყვები კიტოვანის მამიდა ცუცა კიტოვანს ეკუთვნის. იგი სულ ახლახანს - 26 აგვისტოს გამოქვეყნდა გაზეთ „საქართველოში".

ჯერ ერთი, მიაქციეთ ყურადღება - ქალბატონი ცუცა წერს, მე საჩივარი არ შემიტანიაო, თორემ არ ვუცემივარ ბატიასო, არ ამბობს. მეორეც, მისი და მისი ქალიშვილის განცხადებების საფუძველზეა ს.ს. საქმე აღძრული თავის დროზე.

რა შევარდნაძე აგიტყდა შენ, ჩემ თავმკვდარო ბატია, ცოტა ტვინიც ხომ უნდა დაატანო კაცმა სიტყვას - მამიდა შენ ცემე 1963 წლის 13 სექტემბერს, შევარდნაძე კი 1961-63 წლებში ჯერ მცხეთის რაიკომის, ხოლო შემდეგ თბილისის 1 მაისის რაიკომის მდივნად მუშაობდა. რა საქმე ჰქონდა ან შენთან, ან მამიდაშენთან - ვინ ეკითხებოდა I მაისის რაიკომის მდივანს, კიტოვანს დაიჭერდნენ თუ არა?

ბატია! შენ, ჩემ თავმკვდარო ბატია! რამდენად ეთანხმება შენს „კაცურ კოდექსს" გაზეთებში გამოდგომა და ცილისწამება ისეთი ადამიანისა, რომელიც სხვადასხვა გარემოებათა გამო, მოკლებულია შესაძლებლობას გიპასუხოს. ხომ არ გეჩვენება, რომ ესეც უზნეობაა, შეიძლება ზოგ შემთხვევაში უფრო დიდიც, ვიდრე საკუთარი მამიდის ცემა?

ხელისუფლების სათავეში პირველი პრეზიდენტი მოვიდა. მთავრობის დაკომპლექტებას იწყებს...

შენ, ჩემ თავმკვდარო ბატია! რომელი პოლიტიკოსი შენ (და ბევრი შენისთანა) მყავდი, რომ გაერიე მარაქაში? მერე, რომელი სამხედრო აკადემია დამთავრებული შენ იყავი- კაცი, რომელმაც ორი წელიც კი ვერ იმსახურე რიგითად - გვარდიის შექმნა - ჩამოყალიბებას რომ მოკიდე ხელი ნუთუ ეს შენეულ „კაცურ კოდექსში" ჯდება?

ომს რომ ცოდნა უნდა, ესეც კი არ იცოდი შენ, ჩემ თავმკვდარო, მაგრამ ომს ზნეობაც რომ უნდა, ეს იცოდი კი ჩემი ცოდვით სავსევ? რაც შენ და შენმა ამფსონებმა ფული აკეთეთ - საქართველოს შვილების სისხლის ხარჯზე, შეიძლება კი რომ ღმერთმა შეგარგოთ? რა, ვერ გაიგე რას გეუბნები ბატია, არა? არა უშავს - მოვა დრო, ყველაფერი თავ-თავის ადგილას დადგება და ყველას თავისი მიეზღვება!

9. ბატია, შენი „კაცური კოდექსის" რომელ გვერდზე წერია, რომ საქართველოს სამხედრო კონცეფციის შესაქმნელად, მაინცდამაინც რუსეთიდან, მაინცდამაინც პატარა ბიჭების გარყვნისათვის ორჯერ ნასამართლევი და მესამეჯერ ძებნილი ვალერი ფისუნი უნდა ჩამოგეყვანა?

შენს „კაცურ კოდექსში" ეტყობა კარგად ჯდება ისიც, რომ თუნდაც სასამართლოს ბარიერს მიღმა სწორედ ამ კაცთან გიწევს დგომა. თქვე მამაცხონებულებო, ამ კაცს თქვენს ოჯახებსა და აგარაკებზე რომ აცხოვრებდით, შვილები ან შვილიშვილები არ გყავდათ? რამ გაგიწყვიტა შუბლზე ძარღვი შენ, ჩემ თავმკვდარო ბატია?

ამ გარყვნილ ვალერი ფისუნს როგორ ახსენებინეთ რომელიმე - თუნდაც რიგითი ქართველის სახელს?

ამ ზნედაცემულ კაცს როგორ მოიხსენიებთ უწმინდეს პიროვნებად და დიდ ინტელექტუალად - რატომ აყენებთ შეურაცხყოფას რუსეთის ინტელიგენციას?

როგორ ჯდება ყოველივე ზემოთქმული ბატია, შენს „კაცობის კოდექსში"?

ბატია! შენ, ჩემ თავმკვდარო ბატია! აფხაზეთში ვიყავით - ტანკებით, ქვემეხებით, შიგადაშიგ ვერტმფრენებითა და თვითმფრინავებით და დამარცხებულები გამოვედით. რომ დადე თავი და ავტომატების ამარა ორი-სამი ათასი ბიჭი გაუყენე ვითომ აფხაზეთის გზას, ახლა დაფ-ნაღარით დაგხვდებოდა არძინბა თუ რას მოელოდი - პასუხისმგებლობის გრძნობა ხომ უნდა გაგჩენოდათ შენცა და სხვებს - აქციის ხელმძღვანელებს, საქართველოს, თითოეული ბიჭის მშობლების წინაშე - როგორ ჯდება ეს ყველაფერი შენს „კაცურ კოდექსში"?

ბატია! შენ, ჩემ თავმკვდარო ბატია! როგორც ხედავ, ჩემს წერილებში მხოლოდ საყოველთაოდ ცნობილ ფაქტებზე ვილაპარაკე. რაც შეეხება იმას, რაც ყველამ არ იცის - ჯერჯერობით მაინც, ხმას არ ვიღებ, და დააფასე!

### პატივცემულო მკითხველო!

პირველი წერილის დასაწყისშიც მოგახსენეთ და ახლაც იგივეს გავიმეორებ - ბატიას „გმირულ ქმედებებზე" ხმის ამომღები არ ვიყავი, რომ არა მისი გაუთავებელი საგაზეთო გამოსვლები. ეს კაცი ისე იქცევა, ვითომც სულ მცირე, ილია ჭავჭავაძე იყოს.

თავად რომ ჰგონია - არაფერი, მაგრამ ზოგიერთმაც დაიჯერა კიტოვანის განსაკუთრებული მისია. სამწუხაროდ, ბატია - თენგიზ კიტოვანი უბირი კაცია (ლოთი ქობალიასა და მისი მეგობრებისა არ იყოს - არ დაგავიწყდეთ, რომ ეს ერთი „შანტრაპაა", გარემოებათა გამო ბარიკადების სხვადასხვა მხარეს აღმოჩენილი!), რომლის უგუნურობამ არაერთხელ მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო საქართველო. შეუძლებელია ერის ყველა წარმომადგენელს თანაბარი ზნეობა და გონება მოთხოვო, მაგრამ უგუნურსაც თუ ადგილი არ მიუჩინე, არ ივარგებს - მივილებთ გენერალ ბატიას. ღმერთმა აცხონოს პოლიკარპე კაკაბაძე - როგორ გვიწინასწარმეტყველა ბატიები, ქობალიები, არძინბები და სხვები და სხვები ერთი ყვარყვარეთი. ბატია რომ ტიპიური ყვარყვარეა, ამის დადგენას გენიოსობა ნამდვილად არ ჭირდება - ყვარყვარეა და ყვარყვარულად დაასრულა თავისი „მოღვაწეობა". მან კი დაასრულა, სხვა ყვარყვარეები კი ჯერჯერობით კიდევ ფაფხურობენ, მაგრამ მათდა სამწუხაროდ, დრო გადის, იცვლება ის ეპოქა, ნიადაგი, რომელზეც ყვარყვარიზმის თესლი ხარობს.

### ეპილოგის მაგიერ

„როგორც შენი ჩვენებებიდან ჩანს, შენ გზაზე გძინებია. ვინ იცის, ალბათ თუ არ გეძინა, შეურაცხადი იქნებოდი" (ციცინოს წერილიდან).

ადრეც ვამბობდი და ახლაც ვამტკიცებ: ბატიას ორი მდგომარეობა აქვს - ან ძინავს ან შეურაცხადია! იგივეს გვიდასტურებს ცოლის საიდუმლო წერილიც. ამიტომ, თქვენი ჭირიმე, გთხოვთ ყველას! ყველას! ყველას!

ხუ! ნუ გაალვიძებთ კიტოვანს!

**თეიმურაზ კვირკველია**

გაგრძელება არ იქნება

---

# რაც შეეხება ჩემს ავარიას...

ჩემო ყურცქვიტავ, გავიგე, ახალი საქმე დაგიწყია. ერზე ფიქრი შენ, ტელევიზიასთან რომ იყავი ჩამომჯდარი, მაშინაც არ შეგიწყვეტია, მითუმეტეს ახლა, როცა პროკურატურის პრესცენტრს ხელმძღვანელობ და ახალ იდეებს აწვდი ცენტრიდან, როგორ გაუკეთოთ ქართველ ხალხს კრემაცია. შენს სულში იმდენი სიბოროტეა, ეტყობა მკვდრებსაც არ ასვენებ, ჩემზე აღარ არის ლაპარაკი.

ვინც წაიკითხა შენი ნაშრომები ჩემზე, ყველა დიდი მადლიერებით გიხსენებს, ჩვენ გვეგონა კიტოვანი მართლაც რომ მაფიოზა იყო და მთელი ქვეყანა შეჭმული ჰქონდაო. თურმე ნუ იტყვი, ახალგაზრდობაში ჩხუბისა და ავარიის მეტი ვერაფერი ამოუქექესო.

ასე რომ, ჩემო ყურცქვიტავ, კახა თარგამაძეც გადაიმტერო შენი უსაქმობით. არა მგონია მანდ დიდხანს დაგტოვონ, რახან ქართველ ხალხს კრემატორიუმებში უპირებ შეწვას.

ისე, ვინ დახატა შენი პორტრეტი ცელით? მე მგონი ცოტა ხანში მას დაემსგავსები.

რაც შეეხება ჩემს ავარიას, თუ ჩემი გაკეთებული იყოს, ღმერთმა მე დამწყევლოს, თუ არა და – ვინც მე დამაბრალა.

ჩხუბი და ავარია ვის არ მოსვლია, მაგრამ იმდენი ღვარძლი დაგიგროვდა, რომ ვერც კი ხვდები, ავარიისათვის 15 წელს არავის აძლევენ.

ამის შემდეგ მე ვწყვიტავ შენზე რაიმეს წერას, რადგან ვატყობ, შეიძლება ცოტა ხანში აქ გიხილო. მე პირდაპირი ლაპარაკი მიყვარს და ალბათ, მოგვიწევს პირისპირ შეხვედრა. მერე კი დაიწყებ ბოდიშების მოხდას, მე დამამალეს, რა ვქნაო.

ყურცქვიტა, მე ყველაფერი კარგად მესმის, მაგრამ გვიან იქნება. საქართველოში ყველამ თავისი საქმე უნდა აკეთოს და არა საქართველო ყიდოს ნაწილ-ნაწილ.

გუშინ აფხაზეთი ჩააბარა, დღეს სამაჩაბლო, ხვალ ჯავახეთს ჩააბარებს და შენი სტატიისა არ იყოს, მთელ ქართველ ხალხს კრემატორიუმში გაუშვებს. ასეთია მისი ავანდყოფური პოლიტიკა, ჩემო ყურცქვიტა, პროკურატურის პრესცენტრის მხედრიონელო.

**თენგიზ კიტოვანი**

# რატომ არა გვყავს ერთიანი საქართველოს სამეფო ტახტის ლეგიტიმური მემკვიდრე?!

პირველი გვერდიდან

სახელმწიფოებრიობის დემოკრატიულ სულისკვეთებასა და ქართულ მონარქიულ ტრადიციებს შორის სრული ჰარმონიის დამყარების ურთიერთსასარგებლო და გონიერული ინტერესებიდან, - საჭირო და აუცილებელია შეუფარავად ითქვას (გაცხადდეს) და ობიექტურად დასაბუთდეს, - თუ რა ისტორიული და სამართლებრივი ტრადიციები განსაზღვრავს იმ სამწუხარო ფაქტს, რომ დღესდღეობით არა გვყავს ერთიანი საქართველოს ერთპიროვნული (ლეგიტიმური) მემკვიდრე და რა არის საჭირო, რომ იგი გვყავდეს "ხვალ" მაინც!.

ჩემი ერუდიციისდა მიხედვით მე გაგიზიარებთ დღემდე ჩემს ხელთ არსებულ ფაქტებს და მოტივებს (უფრო სრულად, უახლოეს მომავალში გაზეთ "ქართული ფილმის" სპეციალურ გამოშვებაში ამ საკითხებს გააშუქებენ გაცილებით უფრო კომპეტენტური ავტორები):

1. 1466 წელს ერთიანი საქართველოს სამეფოს ბოლო ლეგიტიმური მეფე გიორგი VIII ( ალექსანდრე I- ის, „დიდის", უფროსი ძე), ბიძამისის,იმერეთის თვითმარქვია მეფის, ბაგრატ VI- ის, გურიის მთავრისა და სამცხის ათაბაგის ერთობლივი ამბოხების შედეგად გადაიდა (გაიქცა!) კახეთს, დაირქვა გიორგი I კახთა მეფე და ამ აქტით საფუძველი ჩაუყარა კახეთის ბაგრატიონთა სამეფოს, რის შემდეგაც არც მას და არც მის მემკვიდრეთ ერთიანი საქართველოს ტახტზე პრეტენზია აღარ განუცხადებიათ არც „ხმლით" და არც „სიტყვით!".

მეტიც!

2. 1490 წელს, ქართლის მეფის კონსტანტინე II- ის (დავით VIII- ის უმცროსი ძმა) - ინიციატივით მოწვეულმა ქართველ მეფე-მთავართა „დარბაზმა" ოფიციალურად აღიარა ფაქტიურად უკვე კარგახნის წინ დაშლილი ერთიანი სამეფოს დაშლა სამ სამეფოდ (ქართლის, კახეთის და იმერეთის) - და ერთ საათაბაგოდ (სამცხე-საათაბაგო).

„იქვე" „ახალი" ქართველი მონარქების ტიტულად მიღებულ იქნა „მეფეთ-მეფის" ხარისხი, რაც თითოეულ მათგანს აძლევდა ეფემერულ უფლებას „უკეთეს ჟამთა" დადგომის (ანუ ერთიანი სამეფოს აღდგენის!) შემთხვევაში - ასულიყო ერთიანი სამეფოს ტახტზე (თუ რა თქმა უნდა, მიღწეული იქნებოდა დანარჩენ „მეფეთ-მეფეთა" კონსენსუსი).

სხვა, უფრო ღრმა და სამომავლოდ უფრო გონიერული "დეკლარაცია" იმდროინდელი საქართველოს ხელისუფლებო და ინტელექტუალურ ელიტას, სამწუხაროდ, არ მიუღია. - და. ალბათ არც ამისი ინტერესი აწუხებდა.

3. XVII საუკუნის მეორე ნახევარში, ქართლის მეფე ვახტანგ V „შაჰნავაზმა" (სინამდვილეში იგი იყო სპარსეთის „ვალი"), არაერთგზის სცადა თავისი „ნებისთვის" დაემორჩილებინა კახეთის და იმერეთის სამეფოები!..

უნდა ითქვას, მისი ძალა და ავტორიტეტი იმდენად დიდი იყო, რომ 1661 წელს ზუგდიდში, მას თავისი ნებით ეახლა აფხაზეთის მთავარი სორეხ შერვაშიძე, როგორც მორჩილი ქვეშევრდომი.

მაგრამ, საბოლოოდ, იმერეთში „იმარჯვა" თურქულმა „ორიენტაციამ", ხოლო კახეთის მმართველმა ფეიქარხანმა საკმაოზედ მეტი „სიურჩე" გამოიჩინა ქართლის მეფის მიმართ.

სპარსეთის შაჰის ზედამხედველობის ქვეშ ქვეყნის გაერთიანების (კონსოლიდაციის) იდეამ, ვახტანგ V- ის ჭეშმარიტად მაღალი მეფური ღირსებების მიუხედავად, ნაყოფი ვერ გამოიღო; და, როგორც ჩანს, ასეთი დოქტრინა და იდეოლოგია არც მანამდე არსებობდა.

4. XVIII საუკუნის შუაწლებში კახეთის მეფეებმა, მამაშვილმა - თეიმურაზ II- მ და ერეკლე II- მ შესძლეს ვახტანგ VI- ის ემიგრაციის შედეგად მიტოვებული ქართლის ტახტის „დაჭერა" და ქართლ-კახეთის ერთიანი, ნამდვილად სუვერენული და საკმაოდ ძლიერი სამეფოს შექმნა; მაგრამ, კვლავ "სამწუხაროდ", ამაზე „შორს" ერთიანობის იდეამ ვერ გაშალა ფრთები:

1786 წელს, ერეკლე II- მ იმერეთის მეფის, სოლომონ II- ის დელეგაციას ოფიციალურად განუცხადა უარი იმერეთის ტახტის „დაჭერაზე" და, ამითვე "სადღაც" გადასწია 300 წლის მანძილზე დაშლილი სამეფოს „ერთიანობის აღდგენის შანსი" (?!).

მიზეზი უარისა კი იყო სიფრთხილე ოსმალთა "წყენინებისა" და უფრო მეტად, დარეჯან დედოფლის საარაკო თავგამოდება, არ დაეშვა ტახტზე თავისი გერი, გიორგი XII - ერეკლეს უფროსი ძე.

5. 1803 წელს, რუსეთის იმპერატორის, ალექსანდრე I- ის ცნობილი მანიფესტის „საფუძველზე" ქართლ-კახეთის სამეფო დინასტია თითქმის დედაბუდიანად იქნა გასახლებული რუსეთს, რითაც დაიწყო საქართველოს სამეფო-სამთავროთა ანექსიების თითქმის ექვსათეულწლიანი პროცესი.

მუხრანბატონთა ბაგრატიონთა შტო, „საბედნიეროდ", ყურადღების მიღმა დარჩა.

6. ის, რასაც ვერ მიაღწია „შაჰნავაზის" ხელით შაჰაბასმა (ანუ გურჯისტანის სპარსეთის იმპერიაში გაერთიანებას „ბაგრატიონი ვალების" მემკვიდრეობითი მმართველობის ქვეშ), სრულყოფილად განხორციელდა რუსეთის ერთმორწმუნე იმპერიის ძმური „ხელით".

განსხვავება იმპერიებთან „ერთიანობის" პრინციპებში ფრიად მნიშვნელოვანი იყო: - სპარსეთთან „ერთიანობის" შემთხვევაში „გურჯისტანის" მმართველად კვლავ ბაგრატიონთა საგვარეულო დარჩებოდა მემკვიდრეობით, რომელთაც მემკვიდრეობით ევალებოდათ სპარსეთის არმიის მთავარსარდლობაც („ჯანიშინობა").

რაც შეეხება რუსეთის იმპერიის მიერ თბილისის და ქუთაისის გუბერნიებად გაერთიანებულ ყოფილ (!) საქართველოს, იგი, ორი არაქართველი გუბერნატორის "ხელით" დამორჩილდა კავკასიის მეფისნაცვლებს, ანუ „ნამესტნიკებს", რომელთაგან ქართველი არცერთი არ ყოფილა 117 წლის განმავლობაში;

მეტიც, ცნება საქართველო, „ქართლი", „კახეთი", „იმერეთი" და „მისთანანი" დახურდავდა გორის, თელავის, ოზურგეთის და სხვა ქალაქების მაზრებად, ხოლო ქართული ენა მიეკუთვნა ცხოველთა, (ძაღლთა) კატეგორიას და იგი განდევნილ იქნა ქართული ეკლესიებიდანაც კი.

7. ასე რომ, თუ „უკან მოვიხედავთ", საკმარისი იყო ქართლ-კახეთის სახელოვან მეფეს, 68 წლამდე მიღწეულ, მაგრამ მაინც ჯანსრულ ერეკლე II- ს, თუნდაც ერთი წლით დაედგა თავზედ ჩალმის მაგივრად სრულიად საქართველოს მეფის გვირგვინი, რომ დღეს, 193 წლიანი წყვეტის („შესვენების") მიუხედავად, არანაირ წინააღმდეგობას ან ეჭვს არ გამოიწვევდა საქართველოს აღდგენილი სამეფოს მეფედ-მეფედ ანა ბაგრატიონის (ცნობილი თეატრალური რეჟისორის, ნუგზარ ბაგრატიონის, (გიორგი XII- ის შთამომავლის, უფროსი ქალიშვილის) კურთხევა!

სამწუხაროდ, სრულიად საქართველოს მონარქიული საჭეთმპყრობელობის ასეთი ლეგიტიმური უფლებებით აღჭურვილი პიროვნება ბაგრატიონთა სხვა უმცროს შტოებს დღეს მითუმეტეს არა ჰყავთ და ამ საგვარეულოს დაქუცმაცება - აწი კიდევ უფრო შორს წავა, თუ ქვეყნის პრესტიჟისათვის მაინც არ მოხდა ამ სახელოვანი საგვარეულოს შიგა კონსოლიდაცია ჯვარედინი ქორწინების გზით, (1466 წლიდან გასულია 5 საუკუნე ანუ 12 თაობაზე მეტი, რაც მართლმადიდებელი ეკლესიის კანონების მიხედვით, ერთი საგვარეულოს შიგნით ქორწინებისათვის დაშვებულ 7 თაობაზე გაცილებით მეტია.

ასეთი ქორწინებით ნაშობ „ჩვილს" კი ლეგიტიმური მემკვიდრის გვირგვინი დაედგმებოდა 12-16 წელიწადში!

9. არის სხვა ლეგიტიმური გზაც - 1995 წელს საქართველოს ეკლესიის პატრიარქის ლოცვა-კურთხევით დაფუძნებულ „ბაგრატოვანთა სახლს" („წინამძღოლი" - პროფ. ნინო ბაგრატიონი, იმერულ ბაგრატიონთა შტოს წარმომადგენელი), - სრული უფლება აქვს შეარჩიოს ტახტის ერთპიროვნული პრეტენდენტი და „წარუდგინოს" იგი ხელისუფლებას და ერს - თანხმობისათვის (თუმცა, ამისთვის, ჯერ საჭირო იქნება, რომ ხელისუფლებამ დააკანონოს 1801 წელს უზურპატორული ანექსია რუსეთის მიერ და ამით სცნოს ბაგრატიონთა დინასტიის უფლებები (რაც არ უდრის ტახტის აღდგენას).

10. მესამე „გზა", (რომელიც კინაღამ განხორციელდა 1915 წელს და რისი განხორციელებაც, ზოგიერთ დღევანდელ მოღვაწეს გონიერულად მიაჩნია), არის დინასტიის შეცვლა, ანუ ახალი დინასტიის დაფუძნება!

ჩემის აზრით, მსოფლიოს უძველესი და სახელოვანი ბაგრატიონთა დინასტიის მაგივრად ჰოჰენცოლერნის ან ბურბონის „მოპატიჟება" არც უნდა გაევლო გუნებაში ქართულ საზოგადოებას (არც 1915 წელს და, მით უმეტეს, არც დღეს) - და, ალბათ, ეს იდეა ვერც „ფერს" შეისხამს და ვერც „ხორცს".

11. რაკი გაზეთ „საქართველოს" რედაქცია და ბატონი ნოდარი დაინტერესდნენ ჩემი მოსაზრებებით, „ბარემ" ერთსაც დავამატებდი:

მონარქთა შორის დანათესავება ისტორიულადაც ან დღევანდელი ცხოვრების „ნირითაც", ყოველთვის მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო და არის მონარქული ქვეყნების დიპლომატიასა და საგარეო პოლიტიკაში!

ამდენად, თუ ბაგრატოვანთა სახლი, ქართული საზოგადოებრიობა და, საერთოდ, მთელი ქართველი ერი დინასტიის კონსოლიდაციის პოლიტიკური უფლებების აღდგენა-დამკვიდრების გზად აირჩევს შიგა-გვაროვნულ („ჯვარედინ") ქორწინებებს (თუმცა, ეს მაინც ბაგრატიონთა გადასაწყვეტია), მაშინ, ვაჟური (მამაკაცური) ხაზის გაძლიერების მიზნით, პრეტენდენტთა შორის, ჩემის აზრით, აუცილებლად ყურადღების ღირსია ესპანეთის მეფის, ხუან-კარლოს ბურბონის უახლოესი სისხლით ნათესავი, 19 წლის ხუან (იოანე) ბაგრატიონი, ბაგრატის-ძე, 1942 წ. ტახტის მემკვიდრედ „არჩეული" ირაკლი ბაგრატიონის („მჭადიჯვარელის") შვილიშვილი (მეორე ცოლის, მერსედეს ბურბონ-ბავარიელის ხაზით), მადრიდის პრესტიჟული გიმნაზიის სტუდენტი (რომლის დედაც გახლავთ ასევე პრესტიჟული წარმომავლობის ქალბატონი მარკიზა დონა მარია დელ კარმენ ილოა).

საგულისხმოა, იოანე (ხუან) ბაგრატის-ძის ნათლობის სახელი შეირჩა ესპანეთის მეფისადმი ნათესაობის და პატივისცემის ნიშნით.

დავუმატებ, რომ სამეფო დინასტიის „ოჯახური" საქმეების ასე საჯაროდ განხილვა არ ნიშნავს სხვათა საქმეში „ჩარევას", ტახტის მემკვიდრის „ლეგიტიმურად" დაკონკრეტების გარეშე საგვარეულო ვერ დაირქმევს „დინასტიობას" და, ამდენად, საკითხი იმის თაობაზე, თუ კონკრეტულად ვინ არის ან ვინ შეიძლება იყოს სრულიად საქართველოს სამეფო ტახტის მემკვიდრე, არის არა „პიროვნული" (მაგალითად, ჩემი!), არამედ სრულიად ეროვნული, უმწვავესი პრობლემა!

12. და, („ბოლოს-და-ბოლოს")

ჩემში დიდ სინანულს ჰბადებს ერთი რამ:

ქართველთა ეროვნულ-პოლიტიკური ცნობიერების ფუძემდებლური ორი უმთავრესი ცნების - „ქართველის" და „საქართველოს" ჩამოყალიბება და „გაფენა" უმთავრესად ქართული მონარქისტული ტრადიციების (და, განსაკუთრებით, ბაგრატიონულის) დამსახურებაა, რაშიც მათ ღირსეულად და გონიერულად ამოიყენეს გვერდში ქრისტიანობა, - და რომელი მრწამსისადმი საარაკო ერთგულებისა და თანადგომის არაერთი „მონარქული მაგალითი" შემოგვინახა ეროვნულმა ისტორიამ. (შებრუნებით, იმავე ეროვნულ ისტორიაში, რამდენადაც მახსოვს, რომელიმე ქართველი მონარქის „დამსახურებად" არსად არაა მოხსენებული „...ამან და მეამან ალაშენა ან განამრავლაო მეჩეთნი")

სამწუხაროდ, ერთმორწმუნე რუსეთის ორივე იმპერიის „თბილ და უშიშარ" უბეში 200 წლის მანძილზე ჩათბუნებულ ეროვნულ ცნობიერებას არაეროვნული, უცხო იდეოლოგიათა მიბაძვით არაერთხელ აებნა თავგზა (ორიენტაცია) და ამან, ჩემის აზრით, ყველაზე მწვავედ სწორედ ბოლო ათიოდ წელიწადში იჩინა თავი, როცა 200 წლის მანძილზე ყველაზე მასშტაბური ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეოლოგიამ ქართული სახელმწიფოებრიობის „ზღვრად და მიჯნად" დაისახა ოდენ 33 თვიანი (!) ნახევრად სოციალისტური (და არა ქართულ-ეროვნული) მრწამსით დასნეულებული ვითომ ეროვნული იდეოლოგია და სახელმწიფოებრიობის სისტემა - და, საერთოდ, ვერ „გაიხედა" მის „უკან" გადაშლილი 33 საუკუნოვანი უნივერსალური ეროვნული ტრადიციებისკენ!

მეტიც, თვით ქართულმა მონარქისტულმა მოძრაობამაც ვერ შესძლო ეროვნული ცნობიერების მობრუნება - ზემორე ორი პოლიტიკური ტრადიციის შემანივთებელი პოლიტიკური მრწამსის - „კონსტიტუციური მონარქიის (უფრო ზუსტია - „მონარქული რესპუბლიკა", გონიერულობისკენ!

ამ „საწუხარზე" ლაპარაკი დღეს ძალიან იოლია, მაგრამ, ვინაიდან პოლიტიკური „ჭადრაკის პარტიის" გარჩევა სავალდებულოც კია, მე ბარემ იმის თქმასაც გავბედავდი, რომ ქართული სახელმწიფოებრიობის ახალ ფორმად - „მონარქული რესპუბლიკის" დამკვიდრების მიმდევართ, არ უნდა ებრძოლათ ხელისუფლებაში დამკვიდრებისათვის!

არა, მაგრამ თუ ახალ ხელისუფლებაში დამკვიდრება აუცილებელი იყო, მაშინ ასეთი პოლიტიკის დროშა უნდა გამხდარიყო ღრმად ან დამაჯერებლად დამუშავებული იდეოლოგია - „ქართული მონარქული რესპუბლიკისა".

თუმცა კი, უფრო გონიერული, ალბათ, მაინც „პირველი" გზა იყო!

მართლაც, ქრისტიანული ევროპის მონარქული რესპუბლიკების სახელისუფლებო და საკანონმდებლო ეშელონებში ერთმანეთს პანტა-პუნტით ცვლიან ხოლმე ნაირ-ნაირი პოლიტიკური იდეოლოგიით „აღჭურვილი" პარტიები, მაგრამ მონარქი და მონარქია, როგორც სახელმწიფოებრივი და ეროვნული ცნობიერების საფუძველთსაფუძველი უცვლელია!

თუ რელიგია ერსა და სახელმწიფოს აკავშირებს და „ანივთებს" ზეციურ მარადისობასთან, მონარქია ერსა და სახელმწიფოს აკავშირებს „მიწიერ" მარადისობასთან ანუ სახელმწიფოებრივი და ეროვნული თვითმყოფადობის უმთავრეს საფუძველთან - ტერიტორიასთან და კულტურასთან.

ასე რომ, მონარქია ეროვნული პატრიოტიზმის (ანუ სუვერენიტეტისა და თვითმყოფადობის) ცოცხალი, ქმედითი სიმბოლოა! იგი ეროვნული ცნობიერების მუდმივი განახლების საწყისია, ცოცხალი „საშოა"!

ამ განახლების წყარო კი მონარქიული „საწყისის" (დინასტიის) მემკვიდრეობითობაა, რაც, თავისთავად არის „სარკე" - ეროვნული მემკვიდრეობითობისა ანუ თვითმყოფადობისა!

„სალაპარაკოდ" ეს ყოველთვის იოლი საქმე იყო!

სამწუხაროდ, „ქმნად" და „შესაქმედ" იგი ვერ იქცა!

უშველის თუ არა მის შექმნას ტახტის მემკვიდრის „შექმნა"?!

მოვესწრებით თუ არა ამ დღეს დღევანდელი „ცოცხლებიდან" ყველა?!

ღმერთმა ქნას! (სხვა ძალა ამას ალბათ ველარც შესძლებს!)

**ლერი სიხარულიძე,**
**თბილისი, იყალთო-ბახტრიონის „გორა"**
**1996 წ. აგვისტო**

# საქართველო მოქცეულია ეკონომიკური კრიზისის მარწუხებში

მეორე გვერდიდან

ცია.

უმრავლეს ქალაქებში და რაიონებში არ სრულდება გადასახადების, ცენტრალური და ადგილობრივი ბიუჯეტების შემოსავლების გეგმები, რაც, ერთი მხრივ, გამოწვეულია ობიექტების არარსებობით ან სიმცირით, ხოლო, მეორე მხრივ, დასაბეგრი შემოსავლების დამალვა–აღურიცხაობით, აგრეთვე საგადასახადო საქმის ცუდი ორგანიზაციით.

საქართველოში შექმნილი მძიმე სოციალურ–ეკონომიკური მდგომარეობის გამოსწორება ნაწილობრივ, შესაძლებელია, თუ მასზე გამოყოფილი საზღვარგარეთული კრედიტების თუნდაც უმნიშვნელო ნაწილი დაიხარჯება მიზნობრივად, და არ იქნება რომელიმე კერძო პირის და ფირმის მიერ ჩაჯიბებული. 1994–1995 წლების ჩათვლით მსოფლიო ბანკის მიერ კრედიტის დაფარვის 35 წლის სარგებლობის ვადით, წლიური გადასახადის 0,75 პროცენტით, გამოიყო:

– სახელმწიფო ინსტიტუტების გაძლიერება–გარდაქმნაზე და მის ტექნიკურ აღჭურვილობაზე 10,0 მლნ აშშ დოლარი;

– სკოლების, საავადმყოფოების, საქალაქო ტრანსპორტის, მეტროს, წყალგაყვანილობის სისტემების რეაბილიტაციაზე 18,0 მლნ. აშშ დოლარი;

– მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის პროგრამების დაფინანსებაზე 75,0 მლნ. აშშ დოლარი.

გარდა ამისა, მოსალოდნელია:

– ტრანსპორტის სექტორის რეაბილიტაციაზე 21,0 მლნ. აშშ დოლარი;

– ენერგეტიკის სარეაბილიტაციო სესხი 35,0 მლნ. აშშ დოლარის ოდენობით;

–, სოფლის მეურნეობის სარეაბილიტაციოდ 25,0 მლნ. აშშ დოლარი;

– სტრუქტურულ ცვლილებებზე 60,0 მლნ. აშშ დოლარი;

– ჯანმრთელობის სისტემის რეორგანიზაციაზე 20,0 მლნ. აშშ დოლარი.

აღმშენებლობის საკრედიტო ორგანიზაციამ (KFW) სოფლის მეურნეობის და კვების მრეწველობის კერძო სექტორის საწარმოებისათვის მანქანა–მოწყობილობის შეძენაზე გამოყო 7,0 მლნ. გერმანული მარკა, ხოლო 1995 წელს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მიერ გამოიყო ენერგეტიკის სარეაბილიტაციოდ 20,0 მლნ. გერმანული მარკის ოდენობის სესხი, ამავე წელს ენერგოსექტორის სამუშაოების დასაფინანსებლად დამატებით გამოყო 20,0 მლნ. გერმანული მარკა. ყველა ეს კრედიტი გაიცა 40 წლის ვადით, წლიური 0,75 პროცენტით.

1994–95 წლებში საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ კრედიტების გაცემის მიმდინარეობა დაიწყო მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის პროგრამებისა და ეროვნული ბანკის რეზერვების შექმნაზე. საერთო თანხა შეადგენს 196,0 მლნ. დოლარს.

ევრობანკის მიერ (EBRD) მიმდინარეობს თბილისის აეროპორტის რეკონსტრუქციასა და მოდერნიზაციაზე 12,0 მლნ. დოლარის გამოყოფა. კრედიტის დაფარვის ხანგრძლივობაა 5 წელი, ასევე მიმდინარეობს 28.0 მლნ. დოლარის გამოყოფა თბილისის მე–9 და მე–10 ენერგობლოკებზე ავარიის შედეგების ლიკვიდაციისათვის.

საქართველოს სოციალურ–ეკონომიკური განვითარების დღევანდელი მდგომარეობა და ბოლო 5 წლის მანძილზე გავლილი გზა გვაფიქრებინებს, რომ ქვეყნის ხელისუფლებას, მიუხედავად ზემოთ ჩამოთვლილი საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გაწეული დახმარებებისა, არ შეუძლია, ან არ სურს სოციალურ–ეკონომიკური მდგომარეობის გამოსწორება, არადა ჩვენს ქვეყანას ყოველგვარი დახმარების გარეშე, საკუთარი რესურსული პოტენციალის საფუძველზე შეუძლია თავი დააღწიოს ეკონომიკური კრიზისის მარწუხებს.

**ვ. მანაძე**
**ქ.თბილისი**

პირველი გვერდიდან

# აგენტომანიის კვირაიასეული რაუნდი

## ანუ უშიშროების მინისტრის ორმაგი თამაში!

ბატონმა შოთამ, ზემოთ აღნიშნულ თათბირზე, კანონის დარღვევით, ჯერ კიდევ ძიებაში მყოფი დაუმუშავებელი მასალა ცინცხლად გამოაცხადა: „როგორც დგინდება, გ.სულაძემ, მასხულიასგან იცოდა 29 აგვისტოს მოსალოდნელი ტერორისტული აქტის შესახებ, რაც მან სიტყვიერად მოახსენა ელგოგოლაძეს, ამ უკანასკნელმა კი არავითარი რეაგირება არ მოახდინა, თუმცა ვალდებული იყო ტერორის აღსაკვეთად განეხორციელებინა კონტრღონისძიება".

მინისტრის დეზინფორმაციის გასანეიტრალებლად, მკითხველს საქმის ნამდვილ არსს ვთავაზობთ, რომელიც გ. სულაძის, ვიდეო ფირზე დაფიქსირებულ აღიარებას ეფუძნება.

5 ივლისს, საერთაშორისო ტერორიზმთან და ნარკობიზნესთან ბრძოლის სამმართველოს უფროსის ყოფილ მოადგილეს გელა სულაძეს შეატყობინეს, რომ მასთან საუბარი თავად შოთა კვირაიას სურდა. შეხვედრას ავთ. იოსელიანიც ესწრებოდა. საუბარი საკმაოდ აგრესიულ ტონში წარიმართა. უშიშროების სამინისტროს ხელმძღვანელები დუეტად, წინასწარ დაგეგმილი სცენარით ამბობდნენ, თითქოს მათ ყველაფერი იცოდნენ, რასაც გ.სულაძე გულწრფელად არ ამბობდა 29 აგვისტოს ტერორისტული აქტის შესახებ და ლაპარაკის საშუალებასაც არ აძლევდნენ. საბუთად კი დაკავებულ თ. მასხულიას ჩვენებას იყენებდნენ, თითქოს გ.სულაძისათვის ტერაქტის თარიღი ცნობილი ყოფილიყოს. ამის საფუძველი ის გახლავთ, რომ გასული წლის 23-24 აგვისტოს, ყოფილი „მხედრიონელი" დეპუტატი ვახტანგ ბეგიაშვილი ქუჩაში შეხვედრია თ.მასხულიას და უთქვამს – მდგომარეობა „მხედრიონსა" და სახელმწიფოს მეთაურს შორის დაიძაბა და პასუხსაც მოვთხოვთო. თ.მასხულიას ეს ამბავი გ.სულაძისთვის უცნობებია, რომელმაც თავის მხრივ შეატყობინა ელდარ გოგოლაძეს. მან კი საქმის კურსში ჩააყენა ე.შევარდნაძე.

ტერაქტის შემდეგ, სექტემბრის შუა რიცხვებში, თ.მასხულიას უნდოდა გ.სულაძესთან საუბარი რუსეთიდან ჩამოყვანილ სნაიპერთა შესახებ, რომელსაც ხელმძღვანელობდა „ალფას" ერთ-ერთი თავკაცი.

ასეთია ამ საქმის წინაისტორია. დავბრუნდეთ უშიშროების მინისტრის კაბინეტში, სადაც გ.სულაძეს მოსთხოვეს სასურველი ჩვენების მიცემა. განსაკუთრებით ავთ. იოსელიანი აქტიურობდა, რომელიც გელას ციხითაც დაემუქრა. ამ 15 წუთიანი „გასაუბრების" შემდეგ, გ.სულაძე გადასცეს ზურაბ მელქაძეს, რომელსაც ჩვენება უნდა ჩამოერთმია. დაკითხვის პროცესში გამომძიებელი რამდენჯერმე გავიდა, ალბათ ავთ.იოსელიანთან საკონსულტაციოდ, ვინაიდან გ.სულაძე დაგეგმილ ჩვენებას არ იძლეოდა. საღამოს 6 საათზე, სახლში წასვლის დროს, ქუჩაში გ.სულაძეს გამოუცხადეს, რომ მინისტრმა მას 10 დღით ჰაუპტვახტი გამოუწერა. ესეც კანონსაწინააღმდეგოდ გაკეთდა, ვინაიდან სამთავრობო დაცვაში გ. სულაძის მიღებაზე ბრძანება დაწერილი იყო, მაგრამ უშიშროების სამინისტროში განთავისუფლების ბრძანება არ გაფორმებულა. სწორედ ეს ვითარება იქნა გამოყენებული, თითქოს გ.სულაძე ჯერ კიდევ უშიშროების სამინისტროს ეკუთვნოდა და მის "დასვენებაზეც" იზრუნეს. საამისოდ იგი მოათავსეს N1 იზოლატორში უშიშროების სამინისტროსათვის გამოყოფილ „აპარტამენტებში", საიდანაც მეორე დღეს, გადაიყვანეს ქალაქის პოლიციის სამმართველოს წინასწარი დაკავების საკანში. საკითხავია, როგორ იქნა მიღებული ჰაუპტვახტში მყოფი კაცი სამმართველოში? არსებული ინფორმაციით, ამაზე სათანადო დოკუმენტაცია არ გაფორმებულა. ამის ახსნა ალბათ მოუწევს პოლიციის შეფს დემურ მიქაძეს, რომელიც თავის სატელევიზიო შოუ-გამოსვლებში კანონის დამცველობას ამტკიცებს.

შემდგომში მოვლენები ასე განვითარდა. 10 დღიანი საპატიმრო ვადის გასვლის შემდეგ, დაკავებულს ყურადღებას არავინ აქცევდა. მხოლოდ 17 ივლისს შეატყობინეს, საპატიმრო ვადის 3 დღით გაგრძელების შესახებ, რითაც იგი უკვე ექვემდებარებოდა. ეს სანქცია კონტრდაზვერვის სამმართველოს უფროსის მოადგილემ კახა თოფურიამ გასცა, რომელიც 17 ივლისს გაფორმდა. ამგვარად, კიდევ ერთხელ დაირღვა კანონი, ვინაიდან ერთი დღე-ღამე გ.სულაძე გაუფორმებლად, უკანონოდ იყო დაკავებული. 18 ივლისს კი მოლაპარაკება-დაზვერვაზე მოვიდნენ საგამოძიებო სამმართველოს უფროსი გივი გუბიანური და კონტრდაზვერვის სამმართველოს უფროსი თემურ გრძელიძე. მოკლე საუბარში გამოჩნდა, რომ მათ სურდათ დაკავებულისაგან სასურველი ჩვენების მიღება, წინააღმდეგ შემთხვევაში 2 თვით გაუგრძელებდნენ „საგზურს". დათანხმების შემთხვევაში კი იმავე დღეს გაუშვებდნენ. ასე რომ, 3 დღიანი დაკავებიდან ერთ დღეს „სულგრძელად ჩუქნიდნენ".

გ.სულაძემ ულტიმატუმად მიღებულ ერთ საათში ვითარება გაანალიზა და განთავისუფლების შანსის მინიმუმისა და შემდგომში ბრძოლის გაგრძელების პერსპექტივის გამო ყალბი ჩვენების მიცემაზე დათანხმდა. ამიტომაც იგი კვლავ შ.კვირაიას შეახვედრეს, რომელმაც განთავისუფლება დაამადლა და სათანადო ინსტრუქტაჟიც ჩაუტარა. კერძოდ, დაარიგა, რომ თითქოს მას თ.მასხულიამ უთხრა 29 აგვისტოს ტერაქტის ზუსტი თარიღი. დაუმატა ერთი ეპიზოდიც – თითქოს ელ.გოგოლაძემ უთხრა, რომ მან ეს ფაქტი აცნობა სახელმწიფოს მეთაურის დაცვის სამსახურს. ამასთანავე, მინისტრმა გააფრთხილა, რომ ეს აღიარება გ.სულაძეს ბუნებრივად ჩაეტარებინა და გამომძიებელსაც მის გულწრფელობაში ეჭვი არ შეეტანა.

ამის შემდეგ, გ.სულაძე საგამოძიებო სამმართველოში წაიყვანეს და ფორმალურად მოყვანილი ადვოკატის თანდასწრებით, დიდი ხნის ნანატრი ჩვენება კ.თოფურიას ხელმძღვანელობით „ლამაზად" გააფორმებინეს. ასეთი თავგადასავლის შემდეგ, რომლის შეთხზვაც ჟიულ ვერნსაც შეშურდებოდა, გ.სულაძე გაანთავისუფლეს. ამით მან სახლის ჩხრეკა აიცილა, თორემ ვინ იცის რას არ „აღმოუჩენდნენ".

რა თქმა უნდა, გ.სულაძეს ბრძოლა არ შეუწყვეტია. მან მიმართა რამდენიმე მაღალი თანამდებობის პირს, რომელთა მოვალეობასაც შეადგენდა პრეზიდენტისთვის სიმართლის მიტანა. სამწუხაროდ, მათ დამკვიდრებული შიშის ინსტიქტით „მისიაზე" უარი განაცხადეს. ამ უზნეობის შემდეგ, გ.სულაძემ, ქობულეთში მოძებნა დასასვენებლად მყოფი, გაზეთ „მოსკოვსკიე ნოვოსტის" კორესპონდენტი აკაკი მიქაძე და ყოველივე უამბო, რასაც 5 სექტემბერს, ჟურნალისტის მიერ გამართული პრესკონფერენცია მოჰყვა. ბატონი აკაკი ცნობილია თავისი პრინციპულობითა და კეთილსინდისიერებით. ამიტომაც წინა ღამით მას დაურეკა ავთ. იოსელიანმა და „ურჩია" პრესკონფერენციის მოხსნა, თორემ შენთვისვე ცუდი იქნებაო-დაემუქრა კიდევაც. უარის მიღების შემდგომ, უშიშროების სამინისტროს, ჩანს მთელი ღამე თვალი არ მოუხუჭავს და მეორე დღეს, მომზადებული დესანტიც გამოაგზავნა.

დიდი ხანია ასეთი გადაჭედილი დარბაზი, უცხოელ წარმომადგენლებთან ერთად არ გვინახავს. ასევე პირველად ვნახეთ უშიშროების სამინისტროს „მძიმე წონიანი" წარმომადგენლობაც, რაც პრესკონფერენციებისათვის უპრეცენდენტო შემთხვევაა. ისმის კითხვა, უშიშროების სამინისტროს მუშაკებმა ასე რატომ მოიქაჩლეს თავი? ცხადია, ალბათ, კვალის დაფარვას შეეცადნენ, მაგრამ საწინააღმდეგო შედეგი მიიღეს. ჯერ იყო და გაზეთის „სრულიად არა საიდუმლოდ" რედაქტორმა ბატონმა გ.სანადირაძემ ბატონ აკაკი მიქაძეს აგრესიულობა უსაყვედურა. ცხადია, ჟურნალისტმა ემოციურობა გამოამჟღავნა ადამიანთა უფლებების დარღვევის გამო, რაც ამგვარად იქნა გაგებული. მეორე ფაქტი უფრო დამაფიქრებელი და ტრაგიკომიკური აღმოჩნდა. გამომძიებელმა ზურაბ მელქაძემ თავიდანვე უარყო მისი გამოძიებაში მონაწილეობა, ხოლო შემდეგ ვერ უპასუხა ელ. გოგოლაძის ადვოკატის, ქალბატონ თინა ტომარაძის მარტივ შეკითხვას, თუ რა გახდა მის დაცვის ქვეშ მყოფი პირის დაპატიმრების მიზეზი. ზ.მელქაძემ დაბნეულად „განმარტა", რომ ელგოგოლაძე დაპატიმრებულ იქნა მის სახლში ჩხრეკისას აღმოჩენილი ვაზნების გამო.

სასაცილოა, რომ უშიშროების პოლკოვნიკს 6 ვაზნისთვის იჭერდნენ, მაგრამ სამწუხაროდ, ასე „ლოგიკურად" დგას უშიშიროების სამინისტრო დემოკრატიის სადარაჯოზე.

თავდაცვის შემდგომ „არგუმენტად" უშიშროებამ პრესკონფერენციაზე წარმოადგინა იმ დილით გადაღებული ალ.ნიკიტინის ინტერვიუ, რომელიც შ.კვირაიას მოხსენებაში აგენტად იხსენიება. ბატონი ალექსანდრე ალბათ დაარიგეს ეთქვა, თითქოს აკ.მიქაძე აიძულებდა პრესკონფერენციაზე გამოსვლას უშიშროების სამინისტროს საწინააღმდეგოდ. უშიშროების სამინისტროს სრული გაბითურება კი მისივე პრესსამსახურის განცხადებამ განაპირობა, რომელმაც ჟურნალისტებში ირონიული ღიმილი გამოიწვია. გთავაზობთ ამ განცხადების სრულ ტექსტს.

„საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს" პრეს-სამსახურის განცხადება:

როგორც საზოგადოებისათვის არის ცნობილი, სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს მიერ დაკავებული იქნა, ადრე არაერთგზის ნასამართლევი, მაშველთა კორპუსის „მხედრიონის" ერთ-ერთი ორგანიზატორი და დამფუძნებელი, თემურ მასხულია, რომელიც იმხილება ისეთ მძიმე დანაშაულებებში, როგორიცაა კონტრაბანდა და მოგების (შემოსავლის) განსაკუთრებით დიდი ოდენობით დამალვა.

ჩხრეკის დროს, მის ბინაში აღმოჩენილ იქნა სრულიად საიდუმლო დოკუმენტები, მათ შორის საქართველოს სპეცსამსახურის საგარეო დაზვერვის კონცეფცია.

თემურ მასხულიას განცხადებით, მისთვის ცნობილი გახდა, რომ აგვისტოს ბოლო რიცხვებში მზადდებოდა ტერორისტული აქტი სახელმწიფოს მეთაურის მიმართ. ამის შესახებ მან საქმის კურსში ჩააყენა მისივე მეგობარი, საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ცენტრის უფროსის მოადგილე გელა სულაძე.

სულაძემ არაჯეროვნად შეასრულა მასზე დაკისრებული მოვალეობა, კერძოდ: არ გაატარა აუცილებელი ღონისძიებები მოსალოდნელი ცენტრალური ტერორის აღსაკვეთად, რასაც მძიმე შედეგი მოჰყვა. სახელმწიფო უშიშროების ხელმძღვანელობამ ოპერატიული აუცილებლობიდან გამომდინარე, არ დააყენა მის მიმართ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის და სათანადო აღმკვეთი ღონისძიების გამოყენების საკითხი და სულაძე მხოლოდ დისციპლინური წესით იქნა დაკავებული.

საქმის ირგვლივ სულაძე დაიკითხა. მან მთლიანად დაადასტურა თემურ მასხულიას ჩვენება იმის შესახებ, რომ 1995 წლის 25 აგვისტოს, თემურ მასხულიასაგან მიიღო ინფორმაცია, სახელმწიფოს მეთაურის წინააღმდეგ ტერორისტული აქტის მზადების შესახებ და რომ ხსენებული ინფორმაცია სპეცსამსახურში მოქმედი ბრძანებისა და სპეციალური ინსტრუქციის მოთხოვნათა უხეში დარღვევით მოახსენა მის უშუალო უფროსს, ამჟამად პატიმრობაში მყოფ, პოლკოვნიკ ელდარ გოგოლაძეს. რაც დაადასტურა მასთან დაპირისპირების დროსაც, ადვოკატის თანდასწრებით.

გამოძიებით დადასტურებულია ის გარემოებაც, რომ 1995 წლის 29 აგვისტოს მოვლენების შემდეგ, სულაძემ მასხულიასაგან მიიღო ინფორმაცია, გიორგაძის დავალებით თბილისში ჩამოსულ სნაიპერთა ჯგუფის შესახებ, რომელთაც სახელმწიფოს მეთაურის ლიკვიდაცია ჰქონდათ დავალებული. ამ შემთხვევაშიც იგი გოგოლაძისათვის ინფორმაციის ზეპირი მოხსენებით შემოიფარგლა.

ხსენებულ ფაქტებთან დაკავშირებით, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, ოპერატიული ინფორმაციის ლეგალიზაცია ამ ეტაპზე მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია.

უნდა აღინიშნოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტიც: სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს მიერ მოპოვებული ოპერატიული ინფორმაცია ცხადყოფს, რომ ა.წ. აგვისტოს ბოლო რიცხვებსა და სექტემბრის თვიდან დაგეგმილია მრავალი პროვოკაცია, რომელიც მიზნად ისახავს უშიშროების სისტემისა და მისი ხელმძღვანელების დისკრედიტაციას, სამართალდამცავი ორგანოების დაპირისპირებასა და ქვეყანაში დესტაბილიზაციის კერების გაჩენას. დღევანდელი აკ.მიქაძის პრესკონფერენციაც სწორედ ხსენებული თემის განხორციელების მცდელობაა.

სახელმწიფო უშიშროების სამინისტრო არ აჰყვება ამგვარ პროვოკაციებს. ის ყველაფერს გააკეთებს კანონიერებისა და სახელმწიფო უშიშროების დაცვის უზრუნველყოფისათვის."

ზემოთქმულიდან გამომდინარე, აშკარაა საზოგადოების შეცდომაში შეყვანა. გ.სულაძეს, ძირითადად აბრალებენ 29 აგვისტოს ტერაქტის შესახებ მიღებული ინფორმაციის დაფარვასა და სათანადო აღმკვეთი ღონისძიების მიუღებლობას. მან კი საქმის კურსში ჩააყენა თავისი უფროსი ელ.გოგოლაძე, რომელმაც ყოველივე სახელმწიფო მეთაურის დაცვას შეატყობინა. მეტი რა უნდა ექნა გ.სულაძეს, მით უმეტეს მაშინ, როდესაც ავთ. იოსელიანმა საპარლამენტო ტრიბუნიდან განაცხადა – ტერაქტის შესახებ ვიცოდი, მაგრამ არ ვიცოდი ვისთვის მეთქვაო!.. მსგავსი უაზრობა ალბათ გაუგონარია, რაც გინესის წიგნშია შესატანი. ამ ლოგიკით კი, თავად ავთ. იოსელიანს უნდა მოეთხოვოს სათანადო პასუხი. ხოლო რა „ოპერატიული ინფორმაციის ლეგალიზაციაზეა" ლაპარაკი, გაუგებარია, როცა ასეთი ფაქტები არ არსებობს და ხელოვნურად იქნა შეთითხნილი? პრესკონფერენციამ ჟურნალისტები კიდევ ერთხელ დაარწმუნა, რომ უშიშროების სამინისტროში ჭკუა კონტრაბანდაა, თუმცა ფიზიკურ კონტრაბანდას აქტიურად ებრძვიან. ნუთუ ერთი, ცოტა ლოგიკურად მოაზროვნე კაცი არ აღმოჩნდა, რომ [illegible] ნაბიჯს გადა[illegible]და?

შემაშფოთებელია განცხადების ბოლო, სადაც „გვამცნეს", თითქოს მრავალი პროვოკაციაა დაგეგმილი საკუთარი ქმედებითვე დამფრთხალ უშიშროების სამინისტროს ხელმძღვანელობას მინდა შევახსენო, რომ უმჯობესია თავი ანებონ უნიჭოდ მოწყობილ პროვოკაცია-სპექტაკლებს, რითაც თავადვე ახდენენ საკუთარი სამსახურის დისკრედიტაციას. თანაც წინასწარ, პრესკონფერენციის შედეგების გაუთვალისწინებლად, აცხადებენ აკ.მიქაძეს ქვეყანის დესტაბილიზაციის, უშიშროების სისტემის ხელმძღვანელთა დისკრედიტაციისა და სამართალდამცავი ორგანოების დაპირისპირების განხორციელების მოსურნედ. თურმე რამხელა დანაშაული ჩაუდენია ბატონ აკაკის, დაუქცევია საქართველო და ეს არის ამაზე რეაგირება კი მხოლოდ ზერელე განცხადებით ხდება?! აშკარაა წარუმატებელი თავის მართლება. ამ დემაგოგიას საზოგადოება არ დაიჯერებს და არც აჰყვება. სამინისტროს ბოლო დაპირებისა კი რა მოგახსენოთ. პირადად მე ეჭვი მეპარება, რომ ამ უწყებამ კანონიერება დაიცვას, სამაგიეროდ დარწმუნებული ვარ, რომ მსგავსი პროვოკაციების მოსაწყობად ყველაფერს გააკეთებს და ძალ-ღონესაც არ დაიშურებს. ბატონმა აკაკიმ ასეთი რეაქცია იწინასწარმეტყველა და თქვა, უშიშროების სამინისტრო რომელიმე ქვეყნის აგენტად გამომაცხადებსო, რაც პრესკონფერენციის დამთავრებისას აუსრულდა კიდევაც.

ახლა კი გ.სულაძის ინტერვიუს ერთ ფრაზაზე მინდა ყურადღება გავამახვილო. მან შ.კვირაიას პირადი ანგარიშსწორება ახსენა. საზოგადოებისათვის ცნობილია, რომ შ.კვირაიამ ნასვამ მდგომარეობაში დაურეკა ელგოგოლაძეს მუქარით – უშიშროებაში გადმოვალ და დედას გიტირებო. ასევე სავარაუდოა, რომ ბატონ შოთას გაღიზიანება იმანაც გამოიწვია, რომ დაკავებულები თითქოს ფლობენ ნივთიერ მტკიცებას იმ დანაშაულის შესახებ, რომელიც ზუგდიდში უშიშროების სამინისტროს უმაღლესმა ჩინებმა ჩაიდინეს.

ზემოთმოყვანილ განცხადებაში ნახსენები თ.მასხულიას კონტრაბანდა და შემოსავლის დამალვა, უშიშროების სამინისტროს ხელმძღვანელებს არ უნდა გაკვირვებოდათ, ვინაიდან კულუარებში ასევე ამბობენ, თითქოს ელ.გოგოლაძისა და გ.სულაძისთვის ცნობილია ავთ. იოსელიანის პირადი ბიზნესის შესახებ – ნათესავებს რომ მოეხმარა რუსეთში რამდენიმე ასეული ცარიელი ვაგონ-ცისტერნის გატანაში, რასაც ყოველდღიურად საკმაოდ დიდი შემოსავალი მოაქვს.

მოყვანილი ფაქტების სიზუსტეზე რა თქმა უნდა, დოკუმენტაციის უქონლობის გამო თავს ვერ გამოვიდებ, არც რაიმეს ვამტკიცებ. მაგრამ ვინაიდან მათ შესახებ კულუარებში ლაპარაკობენ, ალბათ საფუძველმოკლებული არ იქნება.

ამრიგად, ჩემი აზრით, ბატონ შოთა კვირაიას კანონდარღვევა შეიძლება ასე ჩამოყალიბდეს: მან სამსახურეობრივ უფლებამოსილებას გადაამეტა, დაზარალებული გ.სულაძე უკანონოდ დააკავა, მისგან ჩვენებები იძულებით მოიპოვა, პიროვნება აბუჩად აიგდო, ყალბი დოკუმენტები შეადგინა ცრუ ჩვენება იძულებით გამოსძალა.

დასკვნისათვის კი ვიტყვით, რომ მსგავსი საქმეების შეთითხვნა 30-იანი წლების ტრადიციების გაგრძელებაა. ჩანს, ბატონ შოთას წინაპართა სისხლიანი გენები მოსვენებას არ აძლევს. სწორედ ამგვარად ცდილობდა ლავრენტი ბერია სტალინისათვის ერთგულების მტკიცებას, რის დამადასტურებლადაც ისტორიამ არაერთი დადგმული „თავდასხმის" სცენარი შემოგვინახა. მაშინ ამ ორსახეობას ბელადი "ვერ მიხვდა", ხოლო პრეზიდენტი "ჩაუთვლის" თუ არა ამაგს შ.კვირაიას, მალე გავიგებთ.

**ბუბაზ მებრელიძე**

**P.S.** დიდი მადლობელი დავრჩები, თუკი წინასწარ შემატყობინებენ, დღეის შემდეგ მე რომელი ქვეყნის აგენტობას დამიპირებენ.



# საქართველოში შემოხიზნულთა ტერიტორიული პრეტენზიების გამო

**ძვირფასო მკითხველო**, სანამ საუბარს დავიწყებდეთ, უმორჩილესად გთხოვთ დახედოთ ჩვენს მიერ გამოქვეყნებულ წინამდებარე რუქას, რომელზედაც წარმოსახულია კავკასია. ტყუილად გაირჯებით, თუ შავ და კასპიის ზღვებს შორის გადაჭიმულ ტერიტორიაზე დაიწყებთ საქართველოს ძებნას...

ეს რუქა რუსულ ენაზე, 1982 წელს ამოღებულია, მილიონნახევრიანი ტირაჟით გამოცემული ატლასიდან. მასში მტკვრის მარჯვენა მხარის ტერიტორია სომხეთადაა წარმოდგენილი, ხოლო მარცხენა მხარე - ალანებად. ასე ამცნეს ჩვენმა მეზობლებმა თვალსაჩინოებით მსოფლიოს თავიანთი ადგილ-სამყოფელი.

იმავე წელს, საქართველოს ლიტერატურისა და ხელოვნების ცენტრალური სახელმწიფო არქივის დირექტორმა ვახტანგ გურგენიძემ წერილით მიმართა მეცნიერებათა აკადემიის იმდროინდელ პრეზიდენტს ევგენი ხარაძეს და პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს, ამჟამად საქართველოს პრეზიდენტს ედუარდ შევარდნაძეს.

ავტორი ფიქრობდა, რომ ბატონი ევგენი და საქართველოს მეთაური ამ ფაქტს სხვა მხრივ მიაქცევდნენ ყურადღებას და შესწორებას შეიტანდნენ შემდგომი გამოცემისათვის, მაგრამ...

მითითებული ატლასის და რუქის დაბეჭდვა სრულებით არ იყო არც შემთხვევითი და არც ერთადერთი. მსგავსი რუქების შედგენა-გამოცემას გრძელი ისტორია გააჩნია, მომდინარეობს წარსულიდან და შორსაა გამიზნული.

ამის გამო საუბარი ვთხოვეთ საქართველოს ლიტერატურისა და ხელოვნების სახელმწიფო არქივის დირექტორს ბატონ **ვახტანგ გურგენიძეს**.

– წინასწარ უნდა აღვნიშნოთ, რომ ქართველ და სომეხ მოძმე ხალხთა ისტორიაში, თუ ოდესმე გაუგებრობას (მითუმეტეს, მტრობას) ჰქონია ადგილი, ეს გამოწვეული იყო ერთი მხრივ (უმეტეს შემთხვევაში) უცხო დამპყრობთა მიზნობრივი ზრახვებით - დაეპირისპირებინათ მეზობლები, ებატონათ, ხოლო მეორეს მხრივ, - ორივე ერის ვაიპატრიოტთა თაოსნობით. ამიტომ, ჩვენი და მომდევნო თაობის ვალია ვამხილოთ და, ძირშივე აღვკვეთოთ მსგავსი მოვლენები.

იმედია, მომიტევებთ და კადნიერებაში არ ჩამომართმევთ, თავს უფლებას მივცემ, მოგაწოდოთ, უფრო სწორად შეგახსენოთ, რამდენიმე ფაქტი.

ზემონათქვამის საილუსტრაციოდ, მოვიტანთ რამდენიმე, თითქოს დღეისათვის ღიმილისმომგვრელ, მაგრამ წინა თაობებიდან „გადაუჭრელ" „მარად ცოცხალ" ფაქტს: - XVII საუკუნის სომეხი ისტორიკოსის მიქაელ ჩამჩიანის „მტკიცებით" - (რომ არაფერი ვთქვათ მის ზოგიერთ წინამორბედზე), ის ერთადერთი ენა, რომელზედაც კაცობრიობა ლაპარაკობდა ბაბილონის გოდოლის „აშენებამდე" და „ენათა აღრევამდე", ყოფილა თურმე სომხური და შემდეგი პერიოდის ენები (მათ შორის ქართულიც, რა თქმა უნდა), სომხურის საფუძველზე წარმოშობილა. (უფრო ვრცლად იხ. ალ.აბდალაძე, „ქართლის ცხოვრება" და საქართველო-სომხეთის ურთიერთობა", „მეცნიერება", თბ., 1982 წ., გვ. 144-145).

ასევე ღიმილის გამომწვევად წარმოგვიდგება „ისტორიულად" მომდინარე მეორე ფაქტიც, თითქოს კაცობრიობის კულტურული აღორძინების ისტორია იწყებოდეს არარატიდან, სომხეთიდან... ხოლო ქართველები სომხური წარმომავლობის ყოფილიყვნენ. კიდევ ერთიც, - სომეხ წინასწარმეტყველთა გადმოცემით: 428 წელს დაცემული სომხეთის არშაკუნთა სამეფო მომავალში კვლავ დამოუკიდებელ სახელმწიფოდ იქცევა შუამდინარეთიდან შავ ზღვამდე და ალანთა კარამდე.

სხვა ვერსიით, იმასაც „ამტკიცებენ", თითქოს ქართველები (იბერები) სომეხთა წყალობით იყვნენ დასახლებულნი სომხეთის „კუთვნილ" დღევანდელ საქართველოს ტერიტორიაზე და შემდეგ გასომხდნენო. ეს გაუკეთებია სომხეთის მეფე არშაკს, რომელმაც, თურმე, განაგებდა რა სირიას, პალესტინას, ბაბილონს, მთელ ახლო აღმოსავლეთს, იტალიასაც და რომსაც, მიწასთან გაასწორა ესპანეთის იბერია, აჰყარა იქიდან იბერი მოსახლეობა და დაასახლა პონტოს ზღვის მარჯვენა მხარეს.

ახლა მოვუხმოთ ჩვენი საუკუნის ასევე ღიმილისმომგვრელ და, ორივე ხალხის თანამედროვეობის ჭეშმარიტ მამულიშვილთა, ნერვების ამშლელ, „ყოველგვარ ისტორიულ ღირებულებას მოკლებულ" (გამოთქმა ივ.ჯავახიშვილისაა) ფაქტებს:

- 1918 წელს სტამბოლში დაიბეჭდა სომხეთის რუკა, სადაც „სომხეთი გადაჭიმულია" შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე. ბათუმი, ახალციხე, ახალქალაქი, თვით მცხეთა და თბილისიც კი ამ რუკაზე სომხეთშია მოქცეული და საქართველოს პატარა, ვიწრო ზოლი აქვს მიკუთვნებული ამიერკავკასიაში. ამ რუკის საფუძველზე 1919 წელს სომხეთის ახალი რუკა დაბეჭდეს დაშნაკებმა. ამ რუკაზე „დიდი სომხეთის" საზღვრები ოსმალეთისა და სპარსეთის ხარჯზე იყო გადაწეული, ხოლო საქართველოსთან საზღვარი მტკვრის გაყოლებით იყო შემოფარგლული.

ასეთ რუკაზე, კონკრეტულად მისი საქართველოს ტერიტორიის ხარჯზე განხორციელებაზე, მასთან დაკავშირებულ საკითხებზე, 1925 წელს (როცა ქართველთა კუთვნილი მიწა-წყლიდან საინგილო გადაეცა აზერბაიჯანს, ხოლო ლორე სომხეთის სსრ რესპუბლიკას და დიდი სომხეთის რუკის სრულყოფის მიზნით წამოყენებული იქნა კვლავ ახალ-ახალი მოთხოვნები საქართველოს ტერიტორიიდან ჯავახეთის, ბორჩალოს მაზრის, ყარაი-შირაქის ველის და სხვ. სომხეთთან შეერთების შესახებ) ხმა აღიმაღლა საქართველოს ისტორიის სჯულმდებელმა ივანე ჯავახიშვილმა. აი, რას სწერს ამ მიმართებით, საბჭოთა საქართველოს მთავრობას:



## ივ.ჯავახიშვილის მოხსენება

**რუსეთის** მთავრობისაგან საქართველოს დამოუკიდებლობის მოსპობისთანავე რუსთ ხელმწიფის წარმომადგენელნი, ერთის მხრივ, სომეხ მოხელეთა დაწინაურებით, მეორეს მხრივ, რუს ნასალდათართა დასახლებით, ქართველთა მოსახლეობის ინტერესების შელახვისა და მიწა-წყლის ეთნოგრაფიულად აჭრელებით ქართველთა მოსალოდნელი პოლიტიკური მოძრაობისაგან უზრუნველყოფას ცდილობდნენ. სომხები მათ აპოლიტიკურ ხალხად ჰყავდათ მიჩნეული და ამასთანავე თავიანთ ერთგულად სთვლიდნენ. უკვე 1828 წლითგან მოყოლებული, როდესაც ქართველი მაჰმადიანებით დასახლებული სამცხე, ჯავახეთი, ერუშეთი და პალაკაციო რუსეთმა ოსმალეთს წაართვა და მცხოვრებნი ისეთ სულიერ განწყობილებაში ჩააგდო, რომ ქართველმა მაჰმადიანებმა თავიანთ მამაპაპურ სამოსახლოთგან აყრა და ოსმალეთში გადასახლება ირჩიეს, გრაფმა პასკევიჩმა ქართველებს ლიხთიმერეთითგან იქ გადასახლების ნება არ მისცა და მათ მაგიერ ოსმალეთითგან გადმოსახლებულ სომხთაგან 30000 მცხოვრები ჩაასახლა. ამ ხელოვნური საშუალებით, მესხეთში, სადაც 1828 წლამდე ქართველთა მოსახლეობა 95 % აღემატებოდა, უკვე 1832 წელს, რუს მოხელეთა წყალობით, უმრავლესობად სომხები იქცნენ.

XIX ს. სამოციანი წლებითგან მოყოლებული რუსეთის პოლიტიკური წრეები უკვე ყოველგვარ ღონისძიებას ხმარობდენ, რომ ამიერკავკასია მოსახლეობითაც რუსულად ქცეულიყო. 1864 წ. მ.კატკოვს მარტო რუს ნასალდათართა დასახლება აღარ აკმაყოფილებდა და იმაზეც ოცნებობდა, რომ რუს მთავრობას ისეთი პირობები შეექმნა ამიერკავკასიაში, მარტო ქალაქები კი არა, სოფლებიც თანდათანობით რუსებით ავსებულიყო. აბა, მაშინ რუსული გავლენა იქ როგორ გაიზრდებოდა („აბა, როგორ გაძლიერდებოდა ეს (რუსული) გავლენა ქვეყანაში, თუ შექმნიდნენ აუცილებელ პირობას იმისათვის, რომ სოფლებიც თანდათანობით შევსებულიყო რუსი ხალხით" (იხ. მოსკოვის უწყებები, 1864 წ. №168, ან მოსკოვის უწყებათა მოწინავე სტატიების კრებული, 1864, გვ. 467).

ამისათვის ერთ-ერთი ხელშემწყობ საშუალებად მას კავკასიაში და კერძოდ, შავი ზღვის სანაპიროზე რუს თავადაზნაურთა გადასახლება მიაჩნდა. მაგრამ ამ დროს რუსეთის მთავრობა რუსების ჩასახლებით პოლონეთის გარუსებას ცდილობდა, ამიტომ რუსი პოლიტიკოსები დარწმუნდნენ, რომ ამდენი ხალხი არ ჰყავდათ, რომ ყველგან გასწვდომოდნენ. ამავე ხანებში სომეხმა მოღვაწემ კანანოვმა საკოლონიზაციოდ შავი ზღვის (სანაპიროების) დასასახლებლად ოსმალეთიდან ზეითუნის სომხების გადმოსახლების პროექტი წამოაყენა. კატკოვმა ამ აზრს, რუსი-კოლონისტების სიმცირის გამო, მხარი დაუჭირა და პოლიტიკური და ეკონომიკური მიზნებით მიზანშეწონილად აღიარა: სომხები ჩვენი ერთგული მომხრენიც იქნებიან და ვითარცა ვაჭარი ხალხი, თან ფულსაც მოგვიტანენო (იქვე, გ. 500-512). ამ აზრს, რომ ამიერკავკასიაში დასასახლებლად სომხები ყოფილიყვნენ გამოყენებულნი ასეთი გავლენიანი რუსი შავრაზმელის დასტურის შემდეგ, როგორც კატკოვი იყო, მთავრობის ადგილობრივი უმაღლესი წარმომადგენლობაც მიემხრო და დასახლებას შეუდგა. სომხებთან ერთად გერმანელების და ესტონელების ჩამოსახლებასაც მიჰყვეს ხელი. რუსები ცოტანი ჩანდნენ. ამგვარად ის მოხდა, რომ თავისუფალი მიწების დასახლება რუსულ საკოლონიზაციო საქმეს სრულებითაც არ ქმნიდა და თანაც ქართველებს გაფართოების საშუალებას უსპობდა. ეს უკანასკნელი გარემოება კი რუს პოლიტიკოსებს, რასაკვირველია, ოდნავაც არ აწუხებდა, პირველი კი აღონებდა და კიდეც აბრაზებდა. 1867 წ. იგივე მ. კატკოვი უკვე გაჰკიოდა: შავიზღვის სანაპიროზე ყველას ასახლებენ მცირე აზიითგანაც, ავსტრიითგან და გერმანიითგანაც, მხოლოდ რუსები არ ჩანან, რადგან იმათაც, ვისაც სურდათ, არ უშვებდნენო. კატკოვი საკოლონიზაციო საკითხს პოლიტიკურ-ეროვნულ საკითხად თვლიდა და რუს მოახალშენთა გაძლიერებას მოითხოვდა (იხ. მოსკ. ვედემოსტი, 1867 წ. №264 და 282, სობრ. სტატ. მოსკ. ვედ.1867 წ., გვ. 687-688).

სომხების საქართველოში ჩამოსახლების პოლიტიკის სულისჩამდგმელად და მხურვალე და მარჯვე განმახორციელებლად ალ. და გ.ხატისოვების მამა ივ.სტეფანეს ძე ხატისოვი იყო, რომელიც 1865 წლითგან 1875 წ-მდე სახელმწიფო ქონებათა და სასოფლო მეურნეობის სამმართველოში ამიერკავკასიაში გავლენიანი თანამდებობის პირად ითვლებოდა. 1875-1883 წლებში კავკასიაში მეფის მოადგილესთან საგანგებო მინდობილებათა მოხელედ იყო, ხოლო 1885-1893 წ. სახელმწიფო ქონებათა სამმართველოს უფროსის თანამდებობა ეკავა. მის დროს და მისი დახმარებით ბევრი სომეხი ჩამოსახლდა ბორჩალოს, ჯავახეთში და შავი ზღვის სანაპიროს. რაკი შავი ზღვის სანაპირო პოლიტიკურად მნიშვნელოვან ადგილად ითვლებოდა, ეს ადგილიც რომ სომხებისათვის ყოფილიყო განკუთვნილი, მან წამოაყენა აქ ორი მოსაზრება: რაკი ეს ქვეყანა უმაღლეს სამეურნეო კულტურის კერად უნდა იქცეს, აქ დასახლების უფლება ამგვარი კულტურის მცოდნეს უნდა მიეცეს. რუსები სულ სხვა ჰავასა და მარტო ხორბლეულობის კულტურას არიან მიჩვეულნი და აქაური ციებისაგანაც დაიხოცებიანო. სომხები და ბერძნები ციებიან ადგილებს მიჩვეულნი არიან, ამ კუთხეს გააშრობენ და ააყვავებენ და შემდეგ სხვების, ე.ი.რუსების დასასახლებლადაც გამოდგებაო. ამგვარი საბუთიანობითა და თავისი დიდი თანამდებობის წყალობით მან თავისი თანამოძმეების ჩამოსასახლებლად საქართველოში ყველაფერი გააკეთა, რისი გაკეთებაც შეიძლებოდა.

რადგანაც ქართველები პოლიტიკურად არასაიმედო ხალხად ჰყავდა რუს მთავრობას მიჩნეული და მათი მოსახლეობის ასპარეზის გაფართოებას სახიფათოდ სთვლიდა, სომეხთა მიერ პოლიტიკურ დამოუკიდებლობაზე ამიერკავკასიის ფარგლებში ოცნების შესაძლებლობაც კი მას ფიქრადაც არ მოსდიოდა, ამიტომ სომეხ ახალშენთა ჩასახლება საქართველოში საშიშროებად არ მიაჩნდა, რათგან სამაგიეროდ ქართველთა მოსახლეობის პროცენტი მცირდებოდა და თანაც საქართველოში რუსეთის განუყოფელობის, როგორც მათ ეგონათ, ერთგულეს ქვეშევრდომთა რიცხვი უმრავლდებოდათ. მაგრამ ბოლოს და ბოლოს სომეხთა გადმოსახლების აზრის მომწონებელმა მ.კატკოვმაც დაინახა, რომ აქ უბრალო ოინბაზობა იყო და 1887 წ. ის უკვე სწერდა, რომ თუ შავი ზღვის სანაპიროზე რუსები დაიხოცებიან, განა გერმანელ, სომეხ, ან ბერძენ მოახალშენეებს-კი იგივე არ დაემართებათო. ცხადია, რუსული პოლიტიკური აზრი აქ მხედველობაში მიღებული არ არის (მოსკ. ვედ. №13). მაგრამ საქმე უკვე გაკეთებული იყო და აღმოჩნდა, რომ სხვებისათვის თავისუფალი სამოსახლო ადგილი იქ თურმე აღარ არსებობდა. ამ დროს ქართველი ხალხი არავის ახსოვდა. თავის მამაპაპეულ მიწა-წყალზე დასახლება უპირველესად რომ მისი უფლება იყო, ამის გაგება და გაგონება არც რუს მთავრობას და არც მის სომეხ მოხელეს არ სურდათ: ქართველი გლეხკაცობის სასიცოცხლო ეკონომიკური ინტერესები ფეხქვეშ ითელებოდა, მას გადასახლების გზა თავის სამშობლოში — საქართველოში კი შეკრული ჰქონდა იმ დროს, როდესაც უცხოეთიდგან მოყვანილებს მიწებიც ეძლეოდათ და ყოველგვარი დახმარებაც.

როდესაც ამიერკავკასიაში ერობის შემოღებაზე ლაპარაკი დაიწყეს და წინასწარ მსჯელობას შეუდგნენ, მაშინ უკვე ყველასათვის ცხადი შეიქმნა, რომ სომეხ პოლიტიკოსებს სომეხთა საქართველოში გადმოსახლება ოსმალეთისაგან დაბეჩავებულ თავიანთ თანამოძმეთა მარტო ფიზიკურად გადარჩენის თვალსაზრისით არ აინტერესებდათ, არამედ, რომ გარკვეული პოლიტიკურ-ეროვნული გეგმის, გაბნეულ სომეხთათვის ერთი მთლიანი ტერიტორიის შესაქმნელად იყო საახალშენოდ ადგილები არჩეული: სომხებმა ბორჩალოს მაზრისა და ახალქალაქის მაზრების თბილისის გუბერნიისაგან გამოყოფა და გუმბრთან შეერთება მოითხ- თბილისის გუბერნიისაგან გამოყოფა და გუმბრთან შეერთება მოითხოვეს გუმრის სომხური გუბერნიის შესაქმნელად. ამ დროს მეფის მოადგილედ სომეხთა მწყალობელი გრაფი ვორონცოვ-დაშკოვი და მისი მეუღლე ბრძანდებოდნენ, ხოლო მესაიდუმლე მრჩევლად, „ხალხის" ურთგულეს გრძნობების მხურვალე და ენაწყლიან გამომხატველად და ფეხთამტვერად ივ.ხატისოვის შვილი ალ.ხატისოვი იყო, ხოლო სომეხთა ცხოვრების სადავე დაშნაკებს ეკავათ ხელთ. ვორონცოვ-დაშკოვმა ბრძანება გასცა, რომ გამოყოფა-შეერთების პროექტის განხორციელების საკითხი განხილული ყოფილიყო. 1912 წ. 6 ნოემბერსა და 18 დეკემბერს საგანგებოდ მოწვეულმა თათბირმა, რომელშიაც სომხებს 6 წარმომადგენელი ჰყავდათ, ქართველებს კი მხოლოდ 2, ბორჩალოს მაზრის თბილისის გუბერნიითგან გამოყოფა გეოგრაფიული და ეკონომიური თვალსაზრისით სრულებით შეუძლებლად სცნო. თბილისის საგუბერნიო განსაკუთრებულმა საბჭომაც ეს დადგენილება 1914 წ. 24 იანვარს დაადასტურა. ამავე წლებში და დროს, ამგვარმავე კომისიამ და ორგანოებმა ახალქალაქის მაზრის გამოყოფა და გუბერნიასთან შეერთება ამავე გეოგრაფიულ-ეკონომიურ ურყევ მოსაზრებათა გამო ერთხმივუარყო და შეუძლებლად სცნო.

ამ დროს მსოფლიო ომიც ატყდა. რუსეთის მთავრობამ ოსმალეთში სამხედრო მოქმედების გასაადვილებლად დაშნაკელებს ოსმალეთის სომხეთის აჯანყება ურჩია და თანაც ოსმალეთის სომხეთის განთავისუფლებას და რუსეთის ფარგლებში ავტონომიას შეჰპირდა. თუ რუსეთის მფარველობის ქვეშ დამოუკიდებლობას სომეხ პოლიტიკოსებმა და დაშნაკელებმა ეს რუსეთის პოლიტიკური ფანდი გულწრფელ დაპირებად მიიჩნიეს და რუს მთავრობის რჩევა განსაზღრულ დროს აასრულეს კიდეც, მაგრამ საქმე უკუღმართად დატრიალდა და განრისხებული ოსმლები

ხალხის საზიზღარ ჟლეტას შეუდგნენ. ვინც მოასწრო გამოქცევა ამიერკავკასიაში, სპარსეთში, ან სადმე, გადარჩა, მაგრამ დიდძალი სომხობა დაშნაკელების უნიჭო პოლიტიკასა და ოსმალთა სიმხეცეს მსხვერპლად შეეწირა. სომეხთა გამაბრიყვებელ რუსეთის მთავრობას ახლა სომეხთა ლტოლვილების ამიერკავკასიაში დატოვება არ სურდა, ხოლო შემდეგში, როდესაც რუსეთის ჯარი კვლავ ოსმალეთში შეიჭრა, სომეხ ლტოლვილებს თავიანთ სამშობლოში დაბრუნების ნებას არ აძლევდნენ და ოსმალეთის სომხეთში ვალაშკერტის ახლანდელ ალშკერტის და ბარიანის (ბახიანის) ველზე რუს ყაზახების დასახლების გეგმის შემუშავებასაც-კი მიჰყვეს ხელი.

რუსეთის რევოლუციამ და რუსთა ჯარის უკან დახევამ ოსმალეთს საშუალება მისცა ყველაფერი წართმეული უკან დაებრუნებინა, ყარსის ოლქიც ხელში ჩაეგდო და ქ.გუმბრს მოსდგომოდა. მაგრამ გერმანიის დამარცხების შემდეგ უმწეო მდგომარეობაში ჩავარდნილი ოსმალეთიც ფრანგ-ინგლისელებს დაემორჩილა. სტამბოლში და შემდეგ ამიერკავკასიის რესპუბლიკებში ინგლისელების და მათი მოკავშირეების საოკუპაციო ჯარი რომ გაჩნდა, დაშნაკელ სომეხთა მთავრობასა და პოლიტიკურ წრეებს დიდი სომხეთის აღდგენის იმედი კვლავ მოეცათ. დამახასიათებელია, რომ სწორედ ამ დროს, 1918 წ. სტამბოლში დაიბეჭდა სომხეთის ვითომც ისტორიული ფანტასტიკური რუკა, რომელშიც შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდეა გადაჭიმული და სამსუნის ოდნავ აღმოსავლეთით, შავ ზღვაზე მდებარე ადგილთაგან ხმელთაშუაზღვამდე აღწევს და სელევკიის ჩრდილოეთით მდებარე ადგილითგან ქარდაველის ოდნავ ჩრდილოეთით მიმავალი ხაზით ამ სრულიად სომხეთის საზღვარი კასპიის ზღვასთან თავდება. ბათუმი, ახალციხე, თვით მცხეთა და თბილისიც - კი ამ რუკაზე სომხეთშია მოქცეული და საქართველოს პატარა, ვიწრო ზოლიღა აქვს მიკუთვნებული.

დასასრული შემდეგ ნომერში

ეროვნული ბიბლიოთეკა

# იუმორის გვერდი – წუთშესვენება

## „მოგონებები ვერელებზე“

## დღევანდელი ნომრის სტუმარია მსახიობი გია ლექავა



### ისევ ჯუმბერ ძიძავას შესახებ

ძალიან ცუდი ბავშვობა გვქონდა, პავლიკ მოროზოვის მაგალითზე გვზრდიდნენ კომუნისტები. ისე ვიყავით სკოლის პერიოდში მათგან დაგეშილი, რომ სულ პირში მივჩერებოდი მამაჩემს, იქნებ რაიმე წამოსცდენოდა, მაგრამ არაფერი გამომივიდა. ისევ მაგ ჩათლახებმა დამასწრეს და ოცდაჩვიდმეტში დამიჭირეს მამიკო.

ერთხელ სიგიჟემდე შეყვარებულ ედიშერ გიორგაძეს გულდამწვარს აღმოხდა: რა დიდი გრძნობაა სიყვარული და რა საზიზღრობაა, რომ ყოველივე ეს საბოლოოდ მაინც ლოგინით უნდა დამთავრდეს... და პატარა პაუზის მერე დაუმატა: თუმცა, არის გამოსავალი, ლოგინშიც პოეზია უნდა ვეძებოთო. იქვე მყოფმა ჯუმბერმა ხარხარით უთხრა: შე უბედურო, დღეს პოეზიას ბიბლიოთეკაშიც ვეღარ ნახავ, არამცთუ კრაოტშიო.

* * *

ერთხელ ჯუმბერს თავის სამ ძმაკაცთან ერთად ხულიგნები აუხირდნენ. მოხდა ჩხუბი, გამოჩნდა მილიცია, ხულიგნები გაიქცნენ, და ეს პატიოსანი სამი ინტელიგენტი, მათ შორის, თვალჩალურჯებული ჯუმბერი მიაბრძანეს განყოფილებაში. მორიგე ლეიტენანტმა უხეშად ჰკითხა:

ლეიტ. – იჩხუბეთ?!

ჯუმბ. – არ გვიჩხუბია.

ლეიტ. – აბა, ეგ სინიაკი საიდან?

ჯუმბ. – გადმოვვარდი.

ლეიტ. – საიდან?

ჯუმბ. – კიბიდან.

ლეიტ. – რომელი კიბიდან?

ჯუმბ. – შენი შერლოკ ჰოლმსი დედა რა ვთქვი, თბილისში კიბეს რა გამოლევს?! და საერთოდ, რას წარმოადგენ, ამდენს რო ქაქანებ, როცა ფალსიფიცირებულ კონიაკს აქვს ხუთი ვარსკვლავი და შენ ორზე მეტს ვერ მიაღწიე!..



ჯუმბერ ძიძავა

### არშემდგარი სანახაობა

ძველი ვერელი, კაი კაცი დათო ხოშტარია იგონებს: სამოციანი წლები ახლოვდებოდა, ვერელი ბიჭები ხან ზემელზე ხანაც ლალიძის წყლებთან ვიყრიდით თავს. ამ გზაზე იმ პერიოდში სახელგანთქმულ დამრტყმელ ამირან დუმბაძეს უყვარდა ჩამოვლა, ვაკიდან – მოედნამდე და ისევ ვაკისკენ. ლალიძეში დალევდა ერთ ჭიქას და გააგრძელებდა გზას. ერთხელაც, ნასვამმა რამოდენიმე ვერელმა გადავწყვიტეთ, რო გვეცემა. არ ვიცი, რამ გაგვალიზიანა, მაგრამ ასე იყო. მისი გალახვა წარმოუდგენელიც კი იყო და მაინც „კასტეტებით“ და „დრუჩოკებით“ შეიარაღებულები დავხვდით ლალიძესთან. როდესაც ამირანმა დააპირა შიგ შესვლა, იქედან გამოსულმა ვერელმა პეშკამ განგებ გაჰკრა მხარი და თანაც მიახალა უხეშად: ნელა, შე ჩემის ბეკეკა, რას მეჯახები. უკაცრავად, – მშვიდად მიუგო ამირანმა და შევიდა. ჩვენ სახტად დავრჩით. უკან გამოსულმა კვლავ თავაზიანად მოგვმართა, ბიჭებო, ხომ არ გამატარებთო. ჩვენ უხმად გავიწიეთ და გზა მივეცით. ამირანი წავიდა და დაგვტოვა შერცხვენილები თავისი თავმდაბალი და ვაჟკაცური საქციელით, მაგრამ არც ჩვენ ვყოფილვართ ცუდები, რადგან ყოველივე ამის შეგნების და შეფასების უნარი გაგვაჩნდა.

### შემთხვევა მილიციაში

იგივე დათო იგონებს, თუ როგორ მოხვდნენ ვაკის მილიციაში ჩხუბის გამო ვერელები, – თვითონ, იმერი ხაჟომია, პეშკა და კაკო ბესტაევი. მილიციის უფროსი, ბატონი დამიანე ალანია:

– რა გვარი ხარ, ბიჭო, შენ!!!

– დათო – ხოშტარია.

ალანიას სახე გაებადრა და უთხრა – მერე არ გრცხვენია, ანგელოზივით ბიჭი, ხოშტარია თანაც... წადი აბა და აღარ იჩხუბო.

ალანია – შენ რა გვარი ხარ ბიჭო!!!

იმერია – ხაჟომია.

– ალანია კვლავ გაიბადრა, თავზე ხელი გადაუსვა იმერის და მამაშვილურად დაუყვავა, – აი შენც მშვენიერი ყმაწვილი ჩანხარ, თანაც ხაჟომია, წადი აბა და შენ იცი.

– ალანია – შენი გვარი?!

– პეშკა – გოგინეიშვილი.

ალანიამ ღიმილით აიჩეჩა მხრები და უთხრა: ნუ, რა ვუყოთ... ქართველი ხომ ხარ. წადი,



დათო ხოშტარია

შენც თავისუფალი ხარ!

ალანია – შემდეგი! – გვარი!

კაკო – ბესტაევი.

ალანია – რაო!!! – ააა, შენ თავიდანვე არ მომეწონე, რო შემოხვედი. სულ შენი ბრალი იქნებოდა ყველაფერი, თორე ეს ბავშვები ჩხუბს არ იკადრებდნენ. მორიგე! კამერაში ეს ნაძირალა! – და ისეთი ალიყური ააწნა, რო საწყალი კაკო შემოსულ მორიგეს ჩაუვარდა ხელებში. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ თავისუფლები ვიყავით, არც ერთმა ფეხი არ დავძარით და დალამებამდე ჩვენს მშობლებთან ერთად მილიციაში დავყავით, სანამ ბატონ დამიანეს გული არ მოვიგეთ და ჩვენი ოსი ძმაკაცი არ გამოვაშვებინეთ.

ეს ის დრო გახლდათ, როცა ნაღდი ძმობა იყო და არ ვარჩევდით ერთმანეთს ეროვნების მიხედვით. შესაძლოა ეს ფაქტი გამოიყენა თენგიზ ჩანტლაძემ თავის ცნობილ სპექტაკლში „შემთხვევა მილიციაში“.

* * *

წარსულში ცნობილი მოკრივე ნოდარ ქიქავა, დათო ხოშტარიასთან ერთად იხსენებს: ვერის ბაღში ვზივართ. სულ იქეთ, ცალკე, ზიკო ვერელი ნაშასთან განმარტოებულა და გაზეთს ათვალიერებს. შემოდის მთვრალი ზოსიმე და ღრიალებს – ვერელებო, თქვენი დედაო!. ჩვენ გაგვეცინა, ზიკომ გაზეთი ჩამოუშვა და კბილებში გამოსცრა: – მეც მაგინებ?!

შენ გაგინებ თუ გაგინებ, თორე ამ ანგელოზებს რას ვერჩიო.

* * *

ერთხელ, გვიან საღამოს, სამაიას ბაღში ვიყავით მე, კოტე ანთაძე, კოლია ქაშაყაშვილი და ომარ დურმიშიძე. რომანტიულად განწყობილი კოტე ანთაძე მთვარის სადღეგრძელოს წარმოსთქვამდა, ჩვენც შინაგანად მის ტალღაზე ვიყავით. მშვიდი, წყნარი საღამო იყო. უცებ ეს ჩვენი იდილია დაარღვია ქუჩიდან შემოსულმა, ვიღაცისგან გაღიზიანებულმა მარლენ ავალიანმა: ყველა დამპალი ადამიანის დედაო, – იგინებოდა. კოტემ შეუვსო ჭიქა და მთვარის სადღეგრძელო შესთავაზა, მარლენმა უხეშად გამოჰგლიჯა ხელიდან ჭიქა: – იმ მთვარის დედაცო, რომელზეც ადამიანმა ფეხი შედგაო და გადახუხა. კოტეს თვალზე ცრემლი მოადგა.

### კანტატა დათო ყიფიანზე

გია ფერაძე ხშირად თხზავდა ახალ-ახალ სახუმარო სიუჟეტებს. ერთხელ დათო ყიფიანს დაურეკა შეცვლილი ხმით და უთხრა: მე შოთა ვარ, მილორავა, კანტატას ვწერ თქვენზე და მინდა გაგესაუბროთო. დათო, რა თქმა უნდა, დიდი სიხარულით დათანხმდა. საღამოს 8 საათზე შეთანხმდნენ შეხვედრაზე. საღამოს კი დარეკა ზარმა და გია შერჩათ ხელში. მასპინძლები მოუსვენრად იყვნენ კომპოზიტორის მოლოდინში, მაგრამ 10 საათს რომ გადასცდა, მილორავასთვის გამიზნული პურმარილი ფერაძეს გაუშალეს. კარგად მოილხინეს და შუაღამეს რომ გადასცდა, სტუმარი კარამდე მიაცილეს. გიამ მადლობა მოუხადა ყველას, კარგი დრო გავატარე, თქვენ შემოგევლეთ, დიდი მადლობა, მაგრამ სულ რაღაც მოუსვენრად ვიყავი მთელი ეს საღამოვო. რატომ, რაშია საქმეო, შეწუხდნენ მასპინძლები. ბიჭო, მთელი სუფრის განმავლობაში ისეთი შეგრძნება მქონდა, რომ აი, ახლა შემოაღებს შოთა მილორავა კარებს და კანტატას შემოიტანს დათოზე დაწერილსო.

### გაყიდული შარვალი

მეორე ისტორია, რომელზეც უნდა მოვყვე, თბილისში შეემთხვა ზოსიმეს. ისევ „პახმელიაზე“ იღვიძებს, არა აქვს ფული, არც სასმელი და ხედავს, სტუმრად მოდის ბიძამისი. ისიც მთვრალი. ერთი ის მოახერხა, რომ შარვალი გაიხადა და დაწვა დასაძინებლად. ზოსიმე კი ფიქრობს, რა ქნას, ყველგან ვალები აქვს, რა მოიფიქროს. უცებ წამოდგა, დაავლო ხელი ბიძამისის შარვალს და გავიდა ვერის ბაზარზე. კიდევ სცადა ნისიით. რა თქმა უნდა, არავინ არ მისცა. რა უნდა ექნა, ვიღაცას მიჰყიდა ხუთ მანეთად. ეს მაშინდელი ხუთი მანეთი იყო და არაყი, ლუდი და, შენ წარმოიდგინე, რაღაც „ზაკუსკაც“ მოუვიდოდა. დალია, პახმელიამ გაუარა, ცოტათიც შეუბრუნდა სიმთვრალე. დაღლილმა სახლში დაბრუნება გადაწყვიტა. შედის და რას ხედავს, ბიძამისი ნიფხვისამარა წამომჯდარა.

– რა იქნა, ბიჭო, შარვალი!..

– რა შარვალი...

– ჩემი შარვალი...

– შენს შარვალს მე მეკითხები...

– ხო, აი, აქ რო იდო...

– თუ იდო, მანდ შენა დგეხარ, მე ახლა შემოვედი...

ბიძამისმა უყურა, უყურა, იცოდა, რომ ზოსიმესგან მოსალოდნელი იყო ასეთი რამ, ხელი აიქნია და თქვა:

– შარვალს კი არ ვდარდობ. იმის უკანა ჯიბეში ხუთასი მანეთი ფული მედოვო.

ასე გაყიდა ზოსიმემ ხუთ მანეთად შარვალი, რომელშიც ხუთასი მანეთი იდო.

### ეპილოგის მაგიერ

დღესდღეობით ამით დავამთავრებ, დამშვიდობებისას მინდა ვუსურვო გაზეთ „საქართველოს“, მთელ ქართულ პრესას და სრულიად საქართველოს დიდი ბედნიერება და მომავალი შობა-ახალი წლიდან, რა თქმა უნდა, უფლის ნებით, ისე წარმართულიყოს ჩვენი ცხოვრება, რომ სიხარულისაგან ჯანმრთელი სიცილი შეგვეძლოს.

სიყვარულითა და პატივისცემით გია ლექავა

მოამზადა ლელა კოდალაშვილმა

არც რა მიშველა ტირილმა,

არცა ცრემლების დენამა,

მიშველა ისევ სიცილმა,

ლაქარდიანმა ენამა



შესწორება: ჩვენი გაზეთის წინა ნომერში, მე-7. გვერდზე გაიპარა უზუსტობა. ფარნა მერკილაძის ფოტოს შეცდომით გაუკეთეს წარწერა: „ზოსიმე ფოცხიშვილი“, რისთვისაც ბოდიშს ვიხდით.



ცხოვრება გამოიცვალა, ფერაძემ ფერი იცვალა

# სტიქიის მსხვერპლნი



ჯერ კიდევ გასული საუკუნის მიწურულს ვაჟა ფშაველა გულისტკივილით წერდა: „ნეტა თუ არის სადმე ისეთი ღვთისა და კაცის მიერ დავიწყებული მხარე, როგორც ხევსურეთია?"

სამწუხაროდ, ერთ საუკუნეზე ცოტა მეტი ხნის შემდეგაც, უნდა გავიმეოროთ დიდი მგოსნისაგან დასმული ცოდვა-მადლიანი კითხვა. ამჯერად მკითხველის ყურადღებას მივაპყრობთ პირიქითა ხევსურეთის უმთავრეს ნაწილს – მიღმახევს.

მიღმახევი, თვალწარმტაცი სილამაზის ხეობა, საკმაოდ ვრცელ ტერიტორიას მოიცავს ანატორიდან ვიდრე თუშეთისა და ფშავის მთებამდე. იგი აერთიანებს შვიდ სოფელს (წუქიისძირი, მიცუ, ხონისჭალა, არდოტი, ანდაქი, არჭილო, ხახაბო), რომელთა მკვიდრნი, ნებსით თუ უნებლიედ, მუდმივ გაჭირვებასა და ხელმოკლეობას განიცდიან. ზემონახსენები სოფლების მიმდებარე ტერიტორია მეტად ხელსაყრელია მესაქონლეობის განვითარებისათვის, თუმცა, უგზოობის გამო (სათანადო პროდუქციის გადაზიდვა და გაყიდვა რახან არ ხდება), დარგიც თანდათან კნინდება.

მიღმახევლებისათვის დიდ განსაცდელს წარმოადგენს სტიქია – წყალდიდობა, ზვავები და მეწყერები, რაც იწვევს მათ აყრას მშობლიური ადგილ-მამულიდან და ბარად გადასახლებას. ბოლო ხანს მიგრაციულ პროცესებს აძლიერებს საყოველთაო უიმედობა და სკეპტიციზმი შესაბამისი სამთავრობო სტრუქტურების მიმართ.

ახლახანს ძლიერმა წვიმებმა წყალდიდობა გამოიწვია, რის შედეგადაც გამძვინვარებულმა არდოტის წყალმა (შემდეგში არღუნმა) პირწმინდად წალეკა თითქმის ყველა ხიდი, რამაც ადგილობრივ მოსახლეობას მოუსპო ყოველგვარი შესაძლებლობა როგორც ერთმანეთთან, ისე გარესამყაროსთან კავშირისა. მასთან, ადიდებულმა არღუნმა დაანგრია ნიკო არდოტელის თაოსნობით შარშან აგებული ხიდი ხონის ორწყალში. ეს ხიდი ოთხ სოფელს (არდოტს, ანდაქს, არჭილოს და ხახაბოს) აკავშირებდა გარესამყაროსთან (ამ ხეობის მკვიდრნი დიდად ემადლიერებიან ირ.წერეთელს, რომელმაც ოთხი ტონა დიზელის საწვავი უშურველად შესწირა ამ საქმეს).

სავალალო ის არის, რომ უგზოობამ (ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით) იმსხვერპლა შესანიშნავი ხევსური – რ.დაიაური, რომელიც ცხენზე ამხედრებული და „საავტომობილო გზით" მიმავალი, არღუნის ამღვრეულმა ტალღამ წარიტაცა...

ამ ხეობის მოსახლეთ აუარებელი პრობლემები აქვთ, თუმცა, უპირველესი მაინც გზაა.

დაუფარავად უნდა ითქვას, რომ მიღმახევლები აღშფოთებას ვერ ფარავენ მათ მიმართ, ვისაც უშუალოდ ეხება გზის მოვლა-პატრონობა. ბარისახოს საგზაო-საექსპლუატაციო უბნის ტრაქტორმა მიაღწია რა ანატორს, უკან გამობრუნდა. ტრაქტორისტმა გ.ჭინჭარაულმა მოიმიზეზა – ანატორზე ხატის მიმდებარე ტერიტორიას ვერ მივეკარებიო.

კითხვა ისმის: სხვა წლებშიც ხომ ინგრეოდა და იწმინდებოდა ეს ადგილები, რაღა ახლა გახდა ტაბუირებული მიმდებარე ტერიტორია?

ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს გზა მხოლოდ და მხოლოდ სასაზღვრო ჯარისთვის იწმინდება და იქ მობინადრეთა ბედი აღარავის აინტერესებს.

ერთი სიტყვით, ვითარება მეტად რთულია და პრობლემა დაუყოვნებლივ გადაჭრას მოითხოვს. ნუთუ ასე ძნელია ორასი ლიტრი დიზელის საწვავის შოვნა და ერთი-ორი დღით ტრაქტორის ამუშავება, რომ გზა არდოტამდე გასუფთავდეს? არადა, ყოველწლიურად უგზოობას თითო ადამიანის სიცოცხლე მაინც ეწირება. ეს ყოვლად შეუწყნარებელია. სადამდე შეიძლება ასე გაგრძელდეს?!

ზაფხული მიიწურა და ზამთრის დადგომამდე ამ ხეობის მოსახლეობამ პროდუქტი და სასოფლო-სამეურნეო საქონელი თუ არ მოიმარაგა, დიდი განსაცდელი ელის, გზის გარეშე კი ამის გაკეთება ყოვლად შეუძლებელია.

პირიქითა ხევსურეთის მკვიდრთა სახელით ყველას ვთხოვთ, უპირველეს ყოვლისა, მათ, ვისაც ეს პირდაპირ ეხება (მცხეთა-მთიანეთის მხარის ადმინისტრაციას, დუშეთის გამგეობას, გზათა მშენებლობის სამინისტროს, ბარისახოს საგზაო-საექსპლუატაციო უბნის ხელმძღვანელობას), შეეცადონ მტკივნეული პრობლემის დროულად გადაჭრას.

ნოდარ არდოტელი,
ფილოლოგიის
მეცნიერებათა კანდიდატი

მეორე გვერდიდან

# მეფე ბორისის მარცხი

ერხეს მოეკლათ იგი რაკეტის საშუალებით.

ამიერიდან, ჩეჩნეთის სათავეში სხვები მოვიდნენ, მოსკოვსაც ახალი თავსატეხი გაუჩნდა: ვინ უფრო საშიშია, მასხადოვი თუ ბასაევი, ან რადუევი? რა შეუძლია ზელიმხან იანდარბიევს? რუსებმა ზეპირად იციან ეს სახელები, მაგრამ ვერავინ დაგისახელებთ რუსი გენერლების გვარებს, რომლებიც ჩეჩნეთში საოკუპაციო ძალებს მეთაურობენ. ისიც სათქმელია, რომ მეთაურები წამდაუწუმ ენაცვლებიან ერთმანეთს და არცერთს რაიმე დასამახსოვრებელი წარმატება არ მოუპოვებია. სასაცილო იქნებოდა, სატირალი რომ არ იყოს: ომმა 40000 კაცი იმსხვერპლა და კიდევ 400000 დატოვა უსახლკაროდ.

ერთადერთი რუსი სამხედრო, რომელსაც რაღაც აზრი მოეკითხება, გენერალი ლებედია. იგი ახლა კრემლში ზის და თავის ხალხს ანაწილებს მაღალ თანამდებობებზე: ზოგს თავდაცვის სამინისტროში, ზოგს კი უშიშროების სამსახურებში. მან უარი განაცხადა ჩასულიყო ჩეჩნეთში მანამ, სანამ არ მიიღებდა ზუსტ ინსტრუქციებს სამშვიდობო მოლაპარაკების საწარმოებლად. იგი ამით მიანიშნებდა, რომ ჯერ კიდევ არ არის პრეზიდენტი, - დიახ, ჯერჯერობით მაინც, - და არც სურს საკუთარი თავის კომპრომეტირება ამ უაზროდ წარმოებულ ომში. და, აი, პრეზიდენტმა მას გადასცა ჩეჩნეთთან დაკავშირებული ყველა უფლებამოსილება. დუმამ, რომელმაც ხმა მისცა ჩეჩნეთში საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებას, ბოლო მოუღო დოკუ ზავგაევის ეფემერულ მმართველობას (სხვათაშორის, ზავგაევი ხანკალას ბაზას აფარებდა თავს ან რუსეთის სამხედრო აეროპორტის ბუნკერში იმყოფებოდა. ამიტომაც, ჩეჩნეთში იგი დოკუ „აეროპორტოვიჩად" მონათლეს).

პოლონეთის გაზეთ „რეჩპოსპოლიტას"-თვის მიცემულ ინტერვიუში, ზელიმხან იანდარბიევი დაწვრილებით ყვება 27 მაისის კრემლის შეხვედრის ამბებს. „მე გამაოცა ამ ადამიანების ამპარტავნობამ, განსაკუთრებით მენიშნა მათი სრული უგონიერობა". მან ინანა, რომ მხარი დაუჭირა ელცინს არჩევნებში. კიდევ ერთხელ რომ არ მოტყუებულიყო, იანდარბიევმა გარს შემოიკრიბა მრჩეველთა საბჭო, რომელსაც რუსლან ხასბულატოვი ჩაუდგა სათავეში. ხასბულატოვი ელცინის დაუძინებელი მტერია. ხასბულატოვი ახალ მოლაპარაკებებს ითხოვს ახალ კომისიასთან...

ალექსანდრე ლებედის წინა პლანზე გამოსვლა ამ მოთხოვნათა ერთ-ერთი პუნქტია. გენერალ ლებედისთვის, რომელმაც თავის დროზე მშვიდობა დაამყარა მოლდავეთში, ჩეჩნეთი გარდამტეხი და ბევრისმანიშნებელი ეტაპი იქნება. თუკი მან საერთო ენა გამონახა ჩეჩენ სეპარატისტებთან და კომპრომისს მიაღწია, იგი მყისვე იქცევა ეროვნულ გმირად და პირველ მნიშვნელოვან გამარჯვებას მოიპოვებს თავის კონკურენტებზე, რომლებიც მას პრეზიდენტის პოსტს შეეცილებიან მომავალში. გენერლის მისიაში შეუძლებელი არაფერია, მაგრამ რუსეთის არმიის მარცხმა რუსეთში იგი საგრძნობლად გააძნელა.

(„ნუველ ობსერვატორი". 15-21 აგვისტო, 1996 წ.)

ფრანგულიდან თარგმნა
გიორგი ეკიზაშვილმა

## მადლობა

### ღია წერილი

### საქართველოს იუსტიციის მინისტრს ბატონ თედო ნინიძეს

ბატონო თედო!

მინდა საჯაროდ მოგახსენოთ ჩემი მადლიერება კრწანისის რაიონის სასამართლოს მოსამართლის ბატონ ზაურ ჯალალონიას გულისხმიერი, სწრაფი და ოპერატიული მუშაობის გამო, რომლის მოწმენიც გავხდით მე და ჩემი კოლეგები საქართველოს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის ორგანოს – გაზეთ „საქართველოს" სავალდებულო ხელახალი რეგისტრაციის პროცესში.

პატივისცემით ნ. ნათაძე

საქართველოს გაერთიანებული რესპუბლიკური
პარტიის ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარე

## ინფორმაცია

### ობიექტური და სამართლიანი პოზიცია

ეკონომიკური თავისუფლებისა და კერძო საკუთრების დაცვის ლიგაში გაიმართა თათბირი თბილისის კერძო სამარშრუტო ტაქსების წარმომადგენლებთან. განხილულ იქნა თბილისის მუნიციპალური ტრანსპორტის სისტემაში შექმნილი მდგომარეობა, მათ შორის - კერძო სამარშრუტო ტაქსების ლიცენზირების, ექსპლუატაციის, სამეწარმეო სტატუსის მიღების, აგრეთვე სხვა წარმოქმნილი სიძნელეები. შეხვედრაში მონაწილეობდნენ ლიგის პრეზიდენტი ბატონი რომან გოცირიძე, ლიგის ექსპერტები, კერძო ტრანსპორტის მძღოლთა შრომისა და სოციალური უფლებების დაცვის ასოციაციის წარმომადგენლები, კერძო სამარშრუტო ტაქსების ბრიგადირთა საბჭოს წევრები, საგადასახადო სამსახურის მუშაკები.

საკითხის სოციალური მნიშვნელობიდან გამომდინარე, გადაწყდა, რომ კერძო საკუთრების დაცვის ლიგის მმართველი საბჭო პრობლემის დაწვრილებითი შესწავლის შემდეგ, მიმდინარე თვის შუა რიცხვებში, განიხილავს ამ სფეროში შექმნილ მდგომარეობას, შეიმუშავებს და ხელისუფლებას წარუდგენს პრობლემის გადაწყვეტის გეგმას და შესაბამისი ნორმატიული დოკუმენტების პროექტებს.

შეხვედრაზე ითქვა, რომ კერძო საკუთრების დაცვის ლიგა ყოველთვის დაიჭერს ობიექტურ და სამართლიან პოზიციას, დაიცავს კერძო მეწარმის უფლებებს მისი კანონიერი შესაძლებლობების ფარგლებში.

კერძო სამარშრუტო ტაქსის მძღოლთა ბრიგადირთა საბჭო შეხვედრის შემდეგ გაწევრიანდა ეკონომიკური თავისუფლებისა და კერძო საკუთრების დაცვის ლიგაში.

ლიგის პრესსამსახური

### ალეკო ლეჟავას ხსოვნას



ერთი საშინელი წელი ჩათავდა უშენოდ შვილო. გლოვამ მოიცვა შენი ოჯახი, სანათესაო, სამეგობრო. შენს საქმეზე უზომოდ შეყვარებულს, ტოლ-მეგობრებში გამორჩეულსა და მისაბაძს, ყოველთვის სიყვარულით გიგონებენ, ჩვენო 29 წლის ვაჟკაცო.

შვილმკვდარი დედ-მამისთვის აუტანელია სიცოცხლე. ვაი ჩვენს თავს, რას მოვესწარით. შენ ჩვენთვის მოუშუშებელი ტკივილი ხარ, შეუხორცებელი ტკივილი, რომელსაც წლები ვერ მოაშუშებს.

სიცოცხლე გიყვარდა, სადაც კი წახვიდოდი, ყველგან სიხარული მიგქონდა. ნათელი სული გქონდა და მზესავით გამოსცემდი სითბოს. ეს სინათლე და სითბო იყოს შენი სულის წინამძღვარი იმ ქვეყნად, ჩვენო ერთადერთო ვაჟკაცო.

ნათელში გამყოფოს უფალმა!

მშობლები
გიორგი და ციური ლეჟავები



**თარაზულად:** 3. გვერდის წახნაგის სიმაღლე წესიერ პირამიდაში; 5. ქალაქი – ინგლისის მეფეების მთავარი საზაფხულო რეზიდენცია; 7. ხანგრძლივი უწვიმობა და დიდი სიცხე; 9. ქიმიური ელემენტის ნაწილაკი; 10. ღია წყალში დგომისას მცურავ საშუალებათა შესაკავებელი მოწყობილობა; 11. მშვიდი, მორჩილი; 12. „უმაღლესი" არისტოკრატიული და ბურჟუაზიული საზოგადოება; 13. მასობრივი სპორტული სირბილი დაბრკოლებათა გადალახვით; 14. ვაგონების, ავტომობილების და მისთანების სადგომი ადგილი, სადაც მათ უვლიან, არემონტებენ; 16. წასაღებად მომზადებული უძრავი ქონება; 19. მდინარე დასავლეთ აზიაში, რომელშიც მოინათლა იესო ქრისტე; 22. ვირი ანუ... 23. პარლამენტი რუსეთში; 24. ბრმად მიღებული დებულება, ურყევ ჭეშმარიტებად მიჩნეული ყველა დროისა და ისტორიული პირობებისათვის; 25. მონაწილე ფილმებისა „კანონიერი ქურდები" და „სპირალი"; 26. დაწესებულების ან თანამდებობის პირის მუშაობის გამორკვევა მოქმედების სისწორისა და კანონიერების შესამოწმებლად; 27. ფარული, საძრახისი მოქმედება მიზნის მისაღწევად.

**შვეულად:** 1. მდინარე საქართველოში, რომელზეც 1898 წელს ააგეს რუსეთის იმპერიაში ერთ-ერთი პირველი ჰესი; 2. წმინდა ოქროს აღმნიშვნელი ტერმინი; 3. სატვირთო მანქანათა ერთობლიობა; 4. სოფელი ხაშურის რაიონში; 5. სტუდენტთა საერთაშორისო სპორტშეჯიბრი; 6. სოფელი მცხეთის რაიონში; 7. ექსკურსიამძღოლი ანუ... 8. ფეოდალური საქართველოს ერთ-ერთი თვალსაჩინო რელიგიურ-კულტურული ცენტრი; 15. ერთგვარ საგანთა, მოვლენათა, ადამიანთა ჯგუფი; 16. მონაწილე უცხოური ეროტიკული დეტექტივისა „სისხლიანი გაქცევა"; 17. ბუნების ამსახველი სურათი, ნახატი; 18. მიწის, ნაყოფიერების და სიყვარულის ქალღმერთი ფინიკიელთა რწმენით; 20. ისტორიული მხარე შუა საუკუნეების საქართველოში (კავკასიონის ქედის ცენტრალური ნაწილი დარიალის ხეობასა და მამისონის უღელტეხილს შორის); 21. უბრალო, მარტივი.

**წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 3. გენშერი; 5. კრამიტი; 11. პარლამენტარი; 12. ედუარდ-გიორგი; 13. ქანტურია; 15. ვატერლოო; 17. ხულიგანა; 19. ინიექცია; 22. ტიციანი; 23. სოფიო; 27. თოიძე; 29. ტექნიკა; 33. სვე; 36. ინვესტიცია; 39. ლოლობერიძე; 40. ალუჩა; 41. ექო; 42. ნეი; 43. კალია; 44. მაგან; 45. მამათი; 46. იტალია; 47. იმედი.

**შვეულად:** 1. „ჩემი არჩევანი"; 2. მამარდაშვილი; 4. ელცინი; 6. ტორერო; 7. კომპრაჩიკოსი; 8. ჩრდილოეთიდან; 9. კარატი; 10. ფურორი; 14. იოლი; 16. ანცი; 17. ხაბეიშვილი; 18. ათენი; 20. ილიკო; 21. არისტოტელე; 24. ფაქსიმილე; 25. პუგაჩოვა; 26. მარღანია; 28. იოსელიანი; 30. ავგუსტინე; 31. კვირაია; 32. მცხეთა; 34. ალვირი; 35. კირთაძე; 37. სანტიმი; 38. ბალტინი.

მთავარი რედაქტორის მოადგილე
გელა ებანოიძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5
გაზეთის ინდექსი 66447
ფასი 50 თეთრი

ტელეფონები:
რედაქტორი: 93-20-36,
რედაქტორის მოადგილე: 93-18-41

რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ. №26/4-444